პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 289 (9757) | ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ჭალაქი — საკოლმეურნეო სოფელს. — საწარმოს პარტიული ორგანიზაცია და სოფლის მეურნეობის დაკვეთები (მე-2 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).

მოსკოვი (მე-2 გვერდი).

მომხმარებელი და მაღაზია (მე-2 გვერდი).

საყოფაცხოვრებო თემაზე. — [illegible] (მე-3 გვერდი).

რ. ოკულოვი. — ამერიკელთა [illegible] რო შეთანხმება მოქმედებს (მე-3 [illegible]).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — წიგნი ერნსტ ტელმანის შესახებ (მე-3 გვერდი).

ხალხური პოეტები და მუსიკოსები (მე-3 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება (მე-4 გვერდი).

უცხოეთის პრესა ბერმუდესის კუნძულებზე წარმოებული თათბირის შესახებ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მოვამზადოთ სატრაქტორო პარკი

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ყოველწლიურად მნიშვნელოვნად აფართოებენ მრავალდარგიანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მომსახურების ფრონტს. სულ უფრო მაღლდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, იზრდება მტს-ის როლი, როგორც გადამწყვეტი ძალისა საკოლმეურნეო წარმოებაში.

პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებანი, რათა უფრო მეტად გაძლიერდეს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, მტს-ების სარემონტო ტექნიკური ბაზა. ამასთან ერთად დასახეს მტს-ების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესების გზები. ამ საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულების ინტერესები მოითხოვენ, რომ მტს-ები აქედანვე ყოველმხრივ მოემზადონ მომავალ წელს იმ მდიდარი ტექნიკის სრულყოფილად, გონივრულად გამოყენებისათვის, რომლითაც ისინი შეაიარაღა ჩვენმა სახელმწიფომ. ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების კარგად და დროზე შეკეთებას. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებს არასოდეს არ ჰქონიათ რემონტისათვის ისეთი საუცხოო პირობები, როგორც ამჟამად. მტს-ების სახელოსნოები შეივსო ახალი ტექნიკური მოწყობილობით, წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა სარემონტო მასალების მიწოდება. ბევრგან ადგილზევე აღადგენენ სათადარიგო ნაწილების საგრძნობ რაოდენობას, ინერგება რემონტის კვანძური მეთოდი. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვთ ულიანოვკის, ლაგოდეხის, აფენისა და მთელ რიგ სხვა მტს-ებს. პარტიის მოწოდების პასუხად მტს-ებში მოვიდნენ უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, შესაძლებლობას გვაძლევს ყოველმხრივ მოვამზადოთ სატრაქტორო პარკი გაზაფხულის სამუშაოებისათვის, ყველგან შემოვიღოთ ტრაქტორების რემონტის პროგრესული მეთოდი — კვანძური რემონტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ტრაქტორების უფრო სწრაფად და ხარისხიანად შეკეთებას.

საკაც ყველაფერი ეს თავიდანვე გაითვალისწინეს და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდნენ დაკისრებულ საქმეს, იქ ტრაქტორების რემონტიც კარგად მიმდინარეობს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ წითელწყაროს მტს-ი. აქ ახალმოსულმა სპეციალისტებმა, მექანიზატორებმა ითავეს ამ საქმის ორგანიზაცია და წარმატებასაც მიაღწიეს, ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის დავალება 142,9 პროცენტით გაანაღდეს. კარგად მოაწყო ტრაქტორების რემონტი ჩოხატაურის მტს-მა. მეოთხე კვარტალში უნდა შეეკეთებინათ 6 ტრაქტორი, ფაქტიურად შეაკეთეს 8. მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე დამატებით შეაკეთონ სამი ტრაქტორი.

მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მტს-ის ხელმძღვანელ მუშაკებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ საჭირო დასკვნები, მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომზადება მინდვრის სამუშაოებისათვის შეუწყნარებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. სხვა არაფრით არ შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, რომ რესპუბლიკაში ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა 1 დეკემბრისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 36,5 პროცენტით.

როგორც ჩანს, ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები ისევ ძველებურად განაგრძობენ მუშაობას. მათ ავიწყდებათ, რომ სახელმწიფო გეგმა კანონია. მისი შესრულება აუცილებელია. ვინც გეგმას სისტემატურად არ ასრულებს, იგი საერთო საქმის ხელისშემშლელია. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ ალაზნის (დირექტორი ამხ. პ. გელაშვილი), დუშეთის (დირექტორი ამხ. ა. მანუკოვი), ასურეთის (დირექტორი ამხ. დ. ჩხიკვაძე), წყალტუბოს (დირექტორი ამხ. გ. მეტრეველი) და მთელი რიგი სხვა ჩამორჩენილი მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

არის ფაქტები, როცა რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ წარმართავენ და კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ რემონტის სამუშაოებს. მაგალითად, აგარის მტს-ს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში 16 ტრაქტორიდან 1 დეკემბრისათვის არც ერთი ტრაქტორი არ გამოუშვია რემონტიდან. ასეთივე მდგომარეობაა ქარელის მტს-ში. ყველაფერ ამას რატომღაც ურიგდებიან პარტიის ქარელის რაიონული კომიტეტი (მდივანი ამხ. გელაშვილი) და რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ნოზაძე).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკის მტს-ები ძირითადად შეივსო მძლავრი ტექნიკით, კვალიფიციური კადრებით. ბევრმა მტს-მა აამენა ტიპური სახელოსნო. მაგრამ მტს-ების საგრძნობ ნაწილს ან სულ არა აქვს ტიპური სახელოსნო, ან აქვს ცუდად მოწყობილი, პრიმიტიული სახელოსნო. რედაქციაში შემოსული სიგნალებიდან ჩანს, რომ ზოგან სახელოსნოს მშენებლობას აჭიანურებენ. მაგალითად, მაიაკოვსკის მტს-ში სახელოსნოს მშენებლობა დავალებული ჰქონდა სამტრედიის სოფლმშენს (დირექტორი კ. გოგსაძე). ეს სამუშაო დღემდე შეუწყვეტელად ჭიანურდება.

ჩამორჩენილი მტს-ების ხელმძღვანელთა თავისებური ანგარიში, რომ „გაზაფხულის მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა და ძაინც მოასწრებენ ტრაქტორების რემონტის დამთავრებას, მთელი პარკის მომზადებას“, არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. უფრო მეტი. ასეთი განწყობილება აშკარა შეცდომა და დანაშაულია. სანამ გვიან არ არის, მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ იმისათვის, რომ სასწრაფოდ გამოვასწოროთ ჩამორჩენა.

მტს-ების ხელმძღვანელთა, მექანიზატორთა სახელისა და ღირსების საქმეა გადაჭრით გაძლიერონ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ტემპი. მათ სასტიკი კონტროლი უნდა დაწესონ შეკეთების ხარისხზე. შეკეთებული მანქანები სანიმუშოდ შეინახონ მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე. განუხრელად უნდა დავიცვათ ის წესი, რომ სახელოსნოდან გამოსულ თვითეულ ტრაქტორსა და სხვა მანქანას აუცილებლად ამოწმებდეს მტს-ის დირექტორი, მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი იმ მექანიზატორის მონაწილეობით, რომელსაც შეკეთებულ ტრაქტორზე მოუხდება მუშაობა. სახელოსნომ რემონტიდან უნდა გამოუშვას მთლიანად დაკომპლექტებული აგრეგატი.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტი დიდი და მეტად პასუხსაგები საქმეა. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მტს-ების მთავარმა სამმართველომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ტრაქტორების რემონტში ჩამორჩენის აღსაკვეთად.

ახლა ამოცანა ის არის, რომ უფრო გავაძლიეროთ მექანიზატორებს შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა, ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტის დროზე და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის. ამ საქმის ავანგარდში უნდა იდგნენ მტს-ების პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

მტს-ების მექანიზატორებო! დროზე და ხარისხოვნად შეაკეთეთ ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საუკეთესოდ მოამზადეთ მთელი სატრაქტორო პარკი გაზაფხულის სამუშაოებისათვის, უზრუნველყავით მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელება! ჩვენი სამშობლო თქვენგან მოელის ახალ სასახელო საქმეებს!

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 ტომი უნგრულ ენაზე

ბუდაპეშტი. (საკდესი). გამომცემლობა „სიკრამ“ უნგრულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეხუთე ტომი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს დადგენილება — ფართოდ აღინიშნოს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, რაც სრულდება 1954 წლის იანვარში, როგორც თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა, უკრაინელი და რუსი ხალხების და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენით დამთავრდა უკრაინელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ — ერთიან რუსეთის სახელმწიფოში რუს ხალხთან გაერთიანებისათვის.

უკრაინელი ხალხი, რომელიც წარმოიშვა ძველი რუსი ეროვნების ერთიანი ფესვიდან, და რომელიც რუს ხალხთან დაკავშირებულია წარმოშობის ერთიანობით, მთელი ისტორიული განვითარების სიახლოვითა და ერთიანობით, მუდამ ესწრაფოდა მოძმე რუს ხალხთან გაერთიანებას. უკრაინა დიდი ხნის მანძილზე დამონებული ჰყავდათ უცხოელებს და საშინელ განაწყენებასა და აოხრებას განიცდიდა თურქ-თათართა ხანების მომთაბარე ურდოების აგრესიული თავდასხმებისა და პოლონელი შლიახტის უღლისაგან. უკრაინელი ხალხი, რომელსაც მოსპობა ემუქრებოდა, მუდამ ეწეოდა ბრძოლას უცხოელ დამმონებელთა უღლის წინააღმდეგ.

1648-1654 წლების განმათავისუფლებელ ომში უკრაინელი ხალხი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის ხელმძღვანელობით გმირულ ბრძოლას ეწეოდა პოლონელი შლიახტის უღლისაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის, რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის. ბოგდან ხმელნიცკის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ გამოხატავდა რა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას რუს ხალხთან მჭიდრო კავშირისადმი და სათავეში ედგა რა უკრაინული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს, მას სწორად ესმოდა მისი ამოცანები და პერსპექტივები, უკრაინელი ხალხის ხსნად მიაჩნდა დიდ რუს ხალხთან მისი გაერთიანება.

განმათავისუფლებელი ომის მთავარი და გადამწყვეტი ძალა იყო ჩაგრული გლეხობა, რომელიც იბრძოდა უცხოელთა უღლისაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის და ილაშქრებდა მებატონე ფეოდალთა სოციალური უღლის წინააღმდეგ. უკრაინელი ხალხის ბრძოლა პოლონელი შლიახტის წინააღმდეგ ფართო გამოხმაურებასა და თანაგრძნობას პოულობდა პოლონელ გლეხობაში, რომელსაც პოლონელი ფეოდალები ჩაგრავდნენ. განმათავისუფლებელ ომში სახალხო მოძრაობის ფართო გაქანებასა და მის თვალსაჩინო წარმატებებს ხელი შეუწყო რუსეთის სახელმწიფოს და განსაკუთრებით რუსეთის ხალხის მასების მუდმივმა დახმარებამ და მხარდაჭერამ.

ეს საერთო სახალხო ბრძოლა დაგვირგვინდა პერეიასლავის რადის 1654 წლის 8 (18) იანვრის გადაწყვეტილებით რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ, რომელიც თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის მძლავრი ნების გამოვლინება იყო, გადაწყვეტილებით, რომელიც გამოხატავდა უკრაინელი ხალხის საუკუნოვან მისწრაფებასა და იმედს და რომელიც მობრუნების ეტაპი იყო მის ცხოვრებაში. უკრაინელმა ხალხმა, საუკუნოდ დაუკავშირა რა თავისი ბედი თვისტომ მოძმე რუს ხალხს, რომელიც მას მუდამ მიაჩნდა თავის სარიგდო დამცველად და მოკავშირედ, ამით გადაირჩინა და შეერწყა თავი როგორც ერმა.

რუსეთთან უკრაინის შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მაშინ სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი და რუსი ხალხების შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის — ორი დიდი სლავი ხალხის გაერთიანებამ, მიუხედავად ცარიზმის, რუსი და უკრაინელი ფეოდალების და ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკისა, დაახლოვა რუსეთისა და უკრაინის ხალხები, რომლებმაც ერთადერთი სწორი გზა აირჩიეს ყველა გარეშე მტრის, საერთო მჩაგვრელების წინააღმდეგ, მებატონეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ცარიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში. მეფის რეაქციული პოლიტიკის — სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკის მიუხედავად რუსი ხალხის საუკეთესო შვილები ცნობდნენ უკრაინის ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებას და უკრაინელი ხალხის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად იბრძოდნენ რუსეთის ხალხთა ერთმანეთისათვის მისევის სამარცხვინო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებდნენ რუსი და უკრაინელი მემამულეები და ბურჟუაზია და მათი დამქაშები — დიდმპყრობელური სულით გაჟღენთილი შოვინისტები და უკრაინელი ნაციონალისტები.

მჩაგვრელთა და იმ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საფუძველზე, რომელნიც ხელყოფდნენ რუსთა და უკრაინელთა მიწა-წყალს, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ორი დიდი მოძმე ხალხის სასიცოცხლო, ურღვევი მეგობრობა. ამ მეგობრობის დიდი მიღწევები მკაფიოდ და დამაჯერებლად ახასიათებენ რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ დამახინჯებათა ანტიხალხურ არსს, ნათლად გვიჩვენებენ, რომ ამაოა ბურჟუაზიული ნაციონალისტების ყოველივე ცდა — ძირი გამოუთხარონ და დაარღვიონ უკრაინელი, რუსი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ურღვევი კავშირი.

რუსი, უკრაინელი და რუსეთის ყველა სხვა ხალხის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური რუსეთის პროლეტარიატი და მისი მებრძოლი ავანგარდი — კომუნისტური პარტია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ხალხებმა, მოახდინეს რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, განთავისუფლდნენ კაპიტალისტური მონობის ბორკილისაგან და სოციალიზმის გზა გაუხსნეს ხალხებს. უკრაინელი ხალხი პირველი მიჰყვა რუს ხალხს სოციალიზმის გზაზე, ბოლოსდაბოლოს მიაღწია თავისი საუკუნეობრივი ოცნების, განხორციელებას, შექმნა რა თავისი ეროვნული უკრაინული სახელმწიფო და ამით საფუძველი ჩაუყარა თავისი ისტორიის ახალ და ნამდვილად სახელოვან ეპოქას.

რუსი და უკრაინელი ხალხების ძმური კავშირი და მეგობრობა მტკიცდებოდა და იწრთობოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ცეცხლში, სოციალისტური მშენებლობის პროცესში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ისტორიულ ბრძოლებში.

საბჭოთა კავშირის ხალხების მიერ მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით უკრაინელმა ხალხმა შეძლო განეხორციელებინა თავისი ეროვნული აღორძინება, გააერთიანა რა მთელი უკრაინული მიწა-წყალი ერთიან უკრაინულ საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოდ.

რუსი და უკრაინელი ხალხები, რომლებმაც უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, ახლა მტკიცე რწმენით მიდიან ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით წინ — კომუნიზმის გზით.

უკრაინელი და რუსი ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურღვევი მარადიული მეგობრობა წარმოადგენს უკრაინელი ხალხის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, ეროვნული კულტურის აყვავებისა და კეთილდღეობის საწინდარს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავიანთი დადგენილებით დაავალეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ფართოდ აღნიშნონ თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, როგორც დიდი ეროვნული დღესასწაული, გამართონ ლექციები, მოხსენებანი და საუბრები, მიძღვნილი ჩვენი სამშობლოს ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისადმი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის **დაჯილდოებულ იქნნა:**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლენინის ორდენით

1. **გეხტმანი** გიორგი ნიკოლოზის-ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **გოკიელი** ლევან პეტრეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. **ჯავახიშვილი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
4. **კეცხოველი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. **ნამორაძე** ალექსანდრე გიორგის-ძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
6. **თვალჭრელიძე** ალექსანდრე ანტონის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
7. **ციცშვილი** ნინო სოლომონის ასული — პროფესორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ბერაძე** ირაკლი ილარიონის-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **ბერაძე** პანტელეიმონ ალექსის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
3. **გამყრელიძე** გიორგი სამსონის-ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **ძოწენიძე** გიორგი სამსონის-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
5. **ქავთარაძე** მიხეილ სტეფანეს-ძე — უფროსი ლაბორანტი.
6. **მამასახლისოვი** ვაგან ივანეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
7. **მირაანაშვილი** მათე მიხეილის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
8. **თათრიშვილი** ნინო თომას ასული — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.
9. **ჭელიძე** ვლადიმერ გიორგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.
10. **ჩხეიძე** ანა ილიას ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **აბულაძე** ილია ვლადიმერის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **ადამაშვილი** ნინო გაბრიელის ასული — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
3. **გამსახურდია** კლარა ავქსენტის ასული — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **ჯიბლაძე** იოსებ ემელიანეს-ძე — გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
5. **ჯიბლაძე** თამარ ემელიანეს ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
6. **ილინსკი** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — პროფესორი.
7. **კიკვიძე** აბელ იასონის-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
8. **კილასონია** პეტრე თევდორეს ასული — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
9. **კიპარისოვა** თამარ ნიკოლოზის ასული — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.
10. **ლომთათიძე** ქეთევან ბესარიონის ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.
11. **მალნარაძე** ლევან გიორგის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
12. **მახარაძე** აპოლონ სიმონის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
13. **მერდერი** ელენე ნიკოლოზის ასული — უფროსი მასწავლებელი.
14. **მირიანაშვილი** ელენე ილარიონის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
15. **რუხაძე** ტრიფონ ონისიმეს-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
16. **ხალარაძე** გრიგოლ პლატონის-ძე — ასისტენტი.
17. **სამსონია** ავთანდილ მიხეილის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
18. **სამსონია** ქეთევან პეტრეს ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
19. **სანაძე** ქეთევან სილიბისტროს ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
20. **სახაროვი** სტეფანე ივანეს-ძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.
21. **ტატიშვილი** იური გიორგის-ძე — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
22. **ტივაძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
23. **ხაჭაპურიძე** ბარნაბ იოსების-ძე — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
24. **ხუნდაძე** მარიამ ალექსანდრეს ასული — ასისტენტი.
25. **ჩახტაური** ადამ ილიას-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
26. **ჭიაბერაშვილი** ეკატერინე ალექსის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ვარდუკაძე** ანდრია იაკობის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
2. **ვეკუა** ნიკოლოზ პეტრეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. **ბეგიაშვილი** თევდორე მალაქიას-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. **ბეჭაია** ქეთო ივანეს ასული — ასისტენტი.
5. **ბერუჩიანი** სათენიკ აბგარის ასული — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.
6. **გელაშვილი** ელენე იოსების ასული — ასისტენტი.
7. **გოკაშვილი** ქსენია ნიკოლოზის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
8. **გოგუაძე** ვახტანგ ანანიას-ძე — უფროსი მასწავლებელი.
9. **გურგენიძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
10. **ჯაველიძე** გრიგოლ ირაკლის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
11. **ძაგნიძე** ქსენია იასონის ასული — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.
12. **ერემოვი** გრიგოლ არტემის-ძე — თურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
13. **ფოდკო** ვალენტინა ალექსანდრეს ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
14. **კახაძე** ალექსანდრა იაკობის ასული — ასისტენტი.
15. **კვესელავა** დავით ალექსანდრეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
16. **კიზირია** ანტონ იოსების-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
17. **კუტუბიძე** ლავრენი ევსევის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
18. **ლობჟანიძე** თევდორე დომელეს-ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
19. **მგალობლიშვილი** თამარ ივანეს ასული — უფროსი ლაბორანტი.
20. **მესხია** შოთა ამბაკოს-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
21. **მულკოჯანიანი** მარიამ ივანეს ასული — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
22. **მურვანიძე** ვასილ სამსონის-ძე — უფროსი მასწავლებელი.
23. **ნოდიაიელი** ახმედ იზეტის-ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.
24. **ნუცუბიძე** თამარ ისაკის ასული — გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
25. **სხირტლაძე** ნიკოლოზ ივანეს-ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
26. **თალაკვაძე** გერმანე ნესტორის-ძე — ასისტენტი.
27. **ტატიშვილი** ოთარ დიმიტრის-ძე — ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
28. **ტერ-გრიგორიანი** პოლომნია არისტიდეს ასული — უფროსი მასწავლებელი.
29. **უკლება** ნოე ლუკას-ძე — გეოგრაფია-გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
30. **ხვედელიძე** ბორის ვლადიმერის-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
31. **ხუციშვილი** სოლომონ გიორგის-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
32. **ხუციშვილი** იასონ გიორგის-ძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
33. **ჭოღოშვილი** გიორგი სევერიანეს-ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
34. **შილაკაძე** ივანე ისიდორეს-ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქალაქი — საკოლმეურნეო სოფელს

საწარმოს პარტიული ორგანიზაცია და სოფლის მეურნეობის დაკვეთები

პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ დ. ხურციძე, რომელიც მოსკოვში მივლინებით წასულ მდივანს ცვლიდა, კომიტეტის წევრები შეკრიბა და საუბარი ამ სიტყვებით დაიწყო:

—პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ქუთაისელ ავტომობილმშენებლებსაც ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენი საპატიო მოვალეობაა ყოველმხრივ დავეხმაროთ სოციალისტურ სოფელს, თვალსაჩინო წვლილი შევიტანოთ პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

თათბირზე კონკრეტულად განსაზღვრეს პარტორგანიზაციის ამოცანები პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. იმ დღესვე მოეთათბირენ საამქროთა პარტორგანიზაციების მდივნებს და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს, დაიწესეს დრო მიღებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის. გადაწყვიტეს ყოველი კვირის ბოლოს მოისმინონ წარმოების ტექნიკური ნაწილის ხელმძღვანელის ინფორმაცია სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი დაკვეთების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ყველა ბრიგადაში, უბანსა და განყოფილებაში მგზნებარედ გაისმა სამასზე მეტი აგიტატორის ხმა. ისინი კონკრეტული ფაქტებით მოუთხრობენ მსმენელებს პარტიისა და მთავრობის უდიდეს მზრუნველობაზე მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

მთავარი კონვეიერის საამქროში მომუშავე ავტომობილმშენებლებს აგიტატორმა ვ. გურენკომ მოუწოდა გაადიდონ პროდუქციის გამოშვება, საკოლმეურნეო სოფელს გაუგზავნონ სულ მეტი და მეტი ავტომანქანები. თვით ვ. გურენკომ იკისრა ყოველდღიური გეგმა ორმაგად შეასრულოს. იგი ხშირად 250 პროცენტით და უფრო მეტი გადაჭარბებით ასრულებს აღებულ ვალდებულებას.

საგიტაციო საუბრებზე ავტომობილმშენებლებმა იკისრეს საქართველოსა და მომიჯნავე რესპუბლიკების მტს-ებს გაუგზავნონ დაზგა-დანადგარები, დიდი რაოდენობით მიაწოდონ კოლმეურნეობებს თვითსაცლელი ავტომანქანები, შეფობა გაუწიონ წყალტუბოს მტს-ს, სოფლის მეურნეობისათვის დაამზადონ საღუმელე არმატურა.

პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

ამას წინათ თვითსაცლელი ავტომობილებით დატვირთული პირველი ეშელონი გაეგზავნა ვოროშილოვგრადის, ზაპოროჟიეს და დნეპროპეტროვსკის ოლქების კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ებს. თვითსაცლელი ავტომობილები გაეგზავნათ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის, აშხაბადის, ტაშკენტის, კრასნოდარის, ევპატორიის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან დაბრუნდა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. დოლიძე და ბევრი საინტერესო ამბავი ჩამოიტანა. მან საფუძვლიანად დაათვალიერა სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანა, დაესწრო ავტოქარხნელთა საერთო კრებას, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების განხილვისადმი იყო მიძღვნილი.

მოსკოველი ავტოქარხნელები, — თქვა მან კომუნისტებთან საუბარში, — შეფობას უწევენ ნარო-ფომინსკის რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. ქარხანა საშეფო რაიონს უშენებს შემკეთებელ სახელოსნოს, უკეთებს კვალსათბურებს და, გარდა ამისა, კულტურულ მომსახურებას უწევს კოლმეურნეებს.

კომიტეტის მდივანი მოესაუბრა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანს კ. ჩიტორელიძეს. გადაწყვიტეს მომზერალთა გუნდი, მოეკვეთეთა ანსამბლი და დრამატული წრე მოემზადებინათ საშეფო მტს-ში გასაგზავნად. პირველი კონცერტი წყალტუბოს მტს-ში ავტოქარხნელებმა უკვე გამართეს.

ქარხანაში ოცდაათზე მეტი კედლის გაზეთი გამოდის. ძირეული პრესის მუშაკებმა უკვე გამოაქვეყნეს პირველი წერილები საშეფო მტს-ისადმი დახმარების, სოფლისათვის თვითსაცლელების გამოშვების დაჩქარების და სხვა საკითხებზე.

ქარხნის მომხსენებელთა ჯგუფმა, რომელიც ოცდაათამდე კაცს აერთიანებს, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი შეიმუშავა. სალექციო თემატიკაში თვალსაჩინო ადგილი დაეთმო სოფლის მეურნეობისადმი მიძღვნილ საკითხებს. ქარხნის საამქროებში ეწყობა ლექციები მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში სოფლის მეურნეობის ამოცანების შესახებ, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მექანიზაციის გამოყენების შესახებ.

ამ დღეებში ქარხნიდან ავტომანქანებისა და დანადგარების კიდევ ერთი პარტია გაიგზავნა სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის. ლატვიის სსრ მტს-ებს გაეგზავნა სხვადასხვა ტიპის 10 დაზგა, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებს 8 დაზგა. წასაღებად მზად არის აგრეთვე სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი მრავალი ტონა საღუმელე არმატურა.

ავტოქარხნელი კომუნისტების მთელი კოლექტივის ღირსებაა იბრძოლონ სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის დაკვეთების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

გ. მეფისაშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სარძეო-სამეურნეო ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. დ. მულაარჩუკი და ასპირანტი ლ. ვ. ანდრიეევსკაია სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ რ. ბ. დავიდოვის ხელმძღვანელობით ამთავრებენ რძეში ცხიმის პროცენტის გამორკვევის ახალი მეთოდის შემუშავებას.

ახალი მეთოდი მარტივი, ზუსტი, იაფი, უნივერსალურია. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხიმის პროცენტის გამოსარკვევად არა მარტო რძეში, არამედ კვების სხვა პროდუქტებშიც.

ახალგაზრდა მეცნიერებმა შექმნეს ორი მარტივი ხელსაწყო. ერთი განკუთვნილია ლაბორატორიაში მასობრივი ანალიზებისათვის, მეორე — გადასატანი — საველე პირობებში მუშაობისათვის.

სურათზე: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. დ. მულაარჩუკი და ასპირანტი ლ. ვ. ანდრიეევსკაია ახალი მეთოდით არკვევენ რძეში ცხიმის პროცენტს.

ფოტო ვ. შაროვსკისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოსკოვი

თათბირი ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე

გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა სრულიად საკავშირო თათბირი, მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა საბჭოთა ეპოქის ლიტერატურის ისტორიის საკითხებისადმი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ალმა-სავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა და მეცნიერმა მუშაკებმა, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ფილიალების წარმომადგენლებმა.

მოხსენება თემაზე „სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების ურთიერთზემოქმედება და ურთიერთგამდიდრება“ წაიკითხა პროფესორმა მ. კ. დობრინინმა, თანამოხსენებით გამოვიდნენ ესტონეთის, ხომხეთისა და მოლდავეთის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

შემდეგ მოხსენებები სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის ისტორიის შექმნისათვის მუშაობის გამოცდილების შესახებ წაიკითხეს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიიდან ამხ. პროსტენეცკიმ, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიიდან ამხ. ივაშინმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ბ. ელენტმა.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტების საანგარიშო მოხსენებები 1952-1953 წლების მეცნიერული გეგმების შესრულებისა და სამეცნიერო სამუშაოთა 1954 წლის გეგმების შესახებ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტიდან ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ე. ვირსალაძემ. ინსტიტუტის როგორც გასული წლის გეგმების შესრულებამ, ისე მომავალი წლის გეგმების თათბირზე მაღალი შეფასება მიიღო.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის ხალხთა საბჭოთა ეპოქის ლიტერატურების ისტორიის შექმნის დარგში მუშაობის კოორდინაციისა და გადაჭრით გაუმჯობესების შესახებ. ამ მუშაობის ერთიანი ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად შექმნილია მუდმივმოქმედი საკოორდინაციო კომისია. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ბ. ელენტი.

ნ. ი. მუსხელიშვილის შრომების ახალი გამოცემა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა გამოსაშვებად ამზადებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის შრომას „დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ამოცანა“, რომელიც უახლოეს ხანებში გამოვა. ეს ამ წიგნის უკვე მე-4 გამოცემაა.

გარდა ამისა, ტექნიკურ-თეორიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს ნ. ი. მუსხელიშვილის წიგნის „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“ მეორე გამოცემას.

ორივე ამ წიგნისათვის, როგორც ცნობილია, ავტორს მიენიჭა სტალინური პრემია.

ეს წიგნები ახლახან ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოცემულია კრონინგენში (ჰოლანდია).

ნ. რიჟინაშვილი.

ახალი ფილმები

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში მოხდა იმ ახალი მხატვრული ფილმების გასინჯვა, რომლებიც მოსკოვის კინოთეატრების ეკრანებზე გამოდის.

ერთ-ერთი მათგანი — „ტარაპუნკა და შტეპსელი ღრუბლებში“ — თავისებური კინოფელეტონია საჭირბოროტო თემებზე. იგი შექმნა კიევის სტუდიამ ესტრადის მსახიობებმა ი. ტომაშენკოს და ე. ბერეზანის სცენარით.

მეორე კინოსურათია მოკლემეტრაჟიანი კომედია „უკანონობა“, რომელიც დაიდგა ა. ბ. ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით „მოსფილმს“ სტუდიაში. როლებში გადაღებული არიან მსახიობები მ. იანშინი, ლ. სუხარევსკაია, ტ. ნოსოვა და სხვები.

მოამხმარებელი და მაღაზია

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ და პარტიის გორის რაიკომმა ამას წინათ მოაწყეს სოფელ მეჯვრისხევის ვაჭრობის მუშაკთა და მომხმარებელთა თათბირი, სადაც მოხსენებით მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის მუშაობისა და ახალი ამოცანების შესახებ გამოვიდა პარტიის გორის რაიკომის მდივანი ამხ. რ. ბზიშვილი.

შეკრებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ქვემოთ ვბეჭდავთ შეკრებაზე გამოსულთა შემოკლებულ სიტყვებს.

ამხანაგებო! სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ მშრომელთა კეთილდღეობისათვის დიდი ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა. ჩვენი სოფლის — მეჯვრისხევის მშრომელებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ეხვევიან ამ კეთილ პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვის შედეგებს. შეძლებულად, კულტურულად ცხოვრობს სოფელი მეჯვრისხევი. იგი, როგორც ხედავთ, დაბას მოგვაგონებს — 1 საშუალო, 2 რვაწლიანი, 1 დაწყებითი სკოლები, საავადმყოფო, ხელის სახლობი და შამპანტური ქარხნები, სასადილო, 3 მაღაზია, აფთიაქი, ფოსტა, ელექტროქვესადგური, კულტურის სახლი, 2 ბიბლიოთეკა, კლუბი, — აი დღევანდელი ჩვენი სოფლის სახე. მარტო მეჯვრისხევის მოსახლეობა 900 კომლს შეადგენს, რომ არაფერი ვთქვათ იმ სოფლებზე, რომლებსაც ჩვენი სოფლის კოოპერატივი ემსახურება. ეს სოფლებია: ბერშუეთი, ხურვალეთი, ზედდღულეთი, ახალუბანი, ზერტი. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი. წელს მარტო მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა შრომა-დღეზე, გარდა სხვადასხვა პროდუქტებისა, 8 მანეთს ფულად და 6 კილოგრამ მარცვლეულს გასცემს.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, თუ რაოდენ დიდია სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე, რაოდენ დიდია მისი პრეტენზიები სოფლის კოოპერატივის მიმართ. ჩვენი სოფლის კოოპერატივს კი, სერიოზულ მიღწევებთან ერთად, მრავალი ნაკლი აქვს მუშაობაში. და აი აქ შევიკრიბეთ, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი, თუ როგორ ართმევენ თავს მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის გამგეობა, ვაჭრობის მუშაკები მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, როგორ იბრძვიან ისინი მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, რას მოითხოვენ სოფლის მშრომელები ვაჭრობის მუშაკებისაგან, სავაჭრო მაღაზიებისაგან.

მოამხმარებელი მოითხოვს...

პარტიის გორის რაიკომის მდივნის ამხ. რ. ბზიშვილის მოხსენება

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ამას მოწმობს ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებული ღონისძიებანიც, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდება, საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესება.

ხახალხო მოხმარების ყველა საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მკვეთრი გადიდებისა და საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქონელბრუნვის ყოველი ღონისძიებით გაშლას, სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციის მაღალ დონეზე დაყენებას.

დღეს ჩვენი სოფელი ის აღარ არის, რაც წინათ იყო. სოფელმა იცვალა სახე. ამაღლდა მისი მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. ამიტომ ცხადია სოფლის მოსახლეობის დიდი მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე. ამ მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის უნდა იბრძოდეს ჩვენი სოფლის კოოპერატივი. სოფლად ვაჭრობისა და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაუმჯობესება, სავაჭრო ქსელის განვითარება გადაუდებელი ამოცანაა.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივში?

კოოპერატივის მუშაკთა (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. თულაშვილი) ენერგიული, მონდომებული მუშაობის შედეგია ის, რომ საქონელბრუნვის მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა კოოპერატივმა 103,3 პროცენტით შეასრულა — ნაცვლად 3.935.000 მანეთისა ივაჭრა 4.064.400 მანეთი, რისთვისაც რაიკოოპკავშირის გარდამავალი დროშა მიიღო.

კარგი მაჩვენებლები აქვს მეჯვრისხევის შერეულ მაღაზიას, რომლის გამგე-გამყიდველად ი. ილურიძე მუშაობს. მან მომხმარებელთა განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე მეჯვრისხევის სოფლის მაღაზია (გამგე ამხ. მ. ბაბაზაშვილი).

მაგრამ ამ საერთო წარმატებების იქით სერიოზული ნაკლოვანებებიც იმალება. სოფლის კოოპერატივი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის მისი მოთხოვნილების მიხედვით. მოთხოვნილება კი დიდად ამაღლდა. გაოცებას აღარ იწვევს, როცა მომხმარებელი სოფლის კოოპერატივში პიანინოს მოითხოვს, სხვა კულტურულ საქონელზე რომ არაფერი ვთქვათ.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მაღალი ტექნიკით აღჭურვილობა არ გამორიცხავს მეურნეობაში ისეთი აუცილებელი იარაღების საჭიროებას, როგორიც არის ცული, ბარი, თოხი, სალესავი და მრავალი სხვა. ეს იარაღები კი ჩვენს სავაჭრო მაღაზიებს არა აქვთ. არც სამურველი და ჯაგრისი იშოვნება.

მაღაზიებში დღესაც შეხვდებით ისეთ ნივთებს, რომლებსაც არავინ იძენს. ცხადია, ეს მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობის შედეგია. საერთოდ ჩვენს რაიონში და კერძოდ მეჯვრისხევში ცუდად არის დაყენებული წიგნით ვაჭრობა. წიგნით ვაჭრობის გეგმები სისტემატურად არ სრულდება. ეს იმიტომ, რომ არ მოაქვთ კარგი მხატვრული ლიტერატურა, პოლიტიკური ბროშურები, აგრონომიული წიგნები. ხშირია მაღაზიების ხანგრძლივად დაკეტვის შემთხვევები. მაგალითად ზედდღულეთში მაღაზია დიდხანს იყო დაკეტილი. კოლმეურნეები ფართო და პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად სხვაგან მიდიოდნენ.

ეს და სხვა ნაკლოვანებანი, რაც მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივს აქვს, იმის შედეგიც არის, რომ მას სუსტად ხელმძღვანელობენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია და გორის რაიკოოპკავშირის გამგეობა.

კოლმეურნეთა პრეტენზიები

მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ე. თოლმაშვილის სიტყვა

მეჯვრისხევის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი და მოწინავეა გორის რაიონში. წელს დიდად ამაღლდა ყველა კულტურის მოსავლიანობა. სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის პროგრამა ჩვენს წინაშე ახალ საბრძოლო ამოცანებს აყენებს. ამ ამოცანების შესრულებისათვის სოფლის კოოპერატივს ბევრ რამეში შეუძლია ხელი შეგვიწყოს. მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა ჩვენს სოფელში მოითხოვს პირუტყვისათვის სადგომების მშენებლობასა და კეთილმოწყობას. საშენი მასალები კი არა გვაქვს. გორის რაიკოოპკავშირმა უნდა მოაგვაროს მეჯვრისხევის მომარაგება ისეთი საშენი მასალებით, როგორიც არის შიფერი, კრამიტი, აგური, ცემენტი. საშენი მასალა საჭიროა აგრეთვე კოლმეურნეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის.

რატომ არ უნდა იყოს, მაგალითად, ჩვენს მაღაზიებში პირუტყვის სადგომის მოსაწყობი სხვადასხვა საჭირო მასალა, ფერმების მექანიზაციისათვის საჭირო ინვენტარი, აგრეთვე წვრილი ინვენტარი, როგორიც არის ჯაგრისები, სამურველები, სავარცხლები, ფიწლები.

გორის რაიკოოპკავშირს ჩვენი სოფლის კოოპერატივისადმი მეტი ყურადღება მართებს.

მივიწყებული მაღაზია

ახალუბნის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დ. სრესელის სიტყვა

ახალუბნის სასოფლო საბჭოში ერთი სავაჭრო მაღაზიაა. შარშან მას გაუკეთეს რემონტი, რაზედაც დაიხარჯა... 40.000 მანეთი. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თანხად მთელი მაღაზიის შენობა არ ღირდა თვით რემონტის შემდეგაც. რა რემონტი იყო ეს! — ახლადგაკეთებული ფანერის დახლები ერთ თვეში დაიმტვრა და გახუნდა, იატაკი დაბალია და გარედან წვიმის წყალი შემოდის, შიგ ტალახი დგება. მაღაზიას არა აქვს საკუთარი საწყობი, მიღებულ ჩირს ინახავენ თვით მაღაზიაში, უვარგისი, ჩამოუწერავი საქონელი ზოგი სასოფლო საბჭოს შენობის სარდაფში ყრია და ზოგიც მოსახლეობაშია გაბარებული.

მაღაზიაში საკმაოდ არ არის ფართო მოხმარებისა და კვების საგნები. ამას წინათ უვარგისი თევზი მოიტანეს, ცხადია, არავინ იყიდა, და 40 კილოგრამი გაფუჭებული თევზი გადაყარეს. სეზონურ ტანსაცმელს ხომ აქ იშვიათად შეხვდები, ან თუ შეხვდები, მეტად დაბალი ხარისხისას. ნაკლებად მოდის ან სრულებით არ მოდის კარგი ხარისხის ქსოვილები.

რატომ არის მივიწყებული ახალუბნის სოფლის მაღაზია, რას ფიქრობენ მის შესახებ მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის გამგეობა და გორის რაიკოოპკავშირი?

მშრომელთა ჯანმრთელობისათვის

სოფლის ექიმის მ. ჩერქეზიშვილის სიტყვა

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის პირველ რიგში საჭიროა მაღალრაციონალური კვება. ჩვენს სოფლის მაღაზიებს შეუძლიათ უკეთ მოგვარონ კვების პროდუქტებით ვაჭრობა. მართალია, სოფლის ძირითადი მოსახლეობა თავის მიერ მოწეული პროდუქტებით იკვებება, მაგრამ გამორიცხული როდია ისეთი პროდუქტების საჭიროებაც, რომელიც მომხმარებელმა უშუალოდ მაღაზიაში უნდა შეიძინოს, მით უფრო, რომ მეჯვრისხევში ცოტა მუშა-მოსამსახურე როდია.

მე მინდა, კერძოდ, შევეხო მეჯვრისხევის საავადმყოფოს მომარაგებას კვების პროდუქტებით. საავადმყოფს, მოგეხსენებათ, კვების შერჩეული პროდუქტები, მაღალხარისხოვანი პური უნდა მივაწოდოთ. კუბ-ნაწლავდაავადებულს არ შეიძლება შავი პური მივცეთ, თეთრი პური კი სოფლის ფურნეში სისტემატურად არ ცხვება. საავადმყოფო, რომელსაც 25 საწოლი აქვს, სათანადოდ არ მარაგდება ხორცისა და რძის პროდუქტებით. სოფლის მაღაზია ამაში ნაკლებად გვეხმარება.

ჩვენი სოფელი ელექტროფიცირებულია. ბევრ ოჯახს ელექტროშუქი აქვს. ამიტომ დიდია მოთხოვნილება ელექტრომრიცხველებზე. მაგრამ ელექტრომრიცხველი არც ერთხელ არ მოუტანია სოფლის მაღაზიაში.

სასტიკი ბრძოლა მტაცებლობასთან!

მეჯვრისხევის უბნის მოსამართლის ძ. ბიბილაშვილის სიტყვა

პარტიული, საბჭოთა, სავაჭრო ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის მოვალეობაა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ მტაცებლობას, სახელმწიფო თანხების ფლანგვას.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამფლანგველებმა და მტაცებლებმა მეჯვრისხევის კოოპერატივს 131.000 მანეთი ზარალი მიაყენეს. ეს თანხა გაფლანგეს ვაჭრობის უფროსმა მუშაკებმა ა. რაზმაძემ და ი. აივაზოვმა, რომლებმაც სასტიკი პასუხი აგეს. შარშან გაიფლანგა 30.572 მანეთი, საიდანაც ჯერჯერობით ანაზღაურებულ იქნა მხოლოდ 18.381 მანეთი. გამფლანგველებს მ. ბიბილაშვილსა და ტ. თუოარაზაშვილს, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან, დარჩენილი თანხა დაუყოვნებლივ უნდა ავანაზღაურებინოთ.

კოოპერაციაში სამუშაოდ უნდა შევარჩიოთ მომზადებული, პატიოსანი, ყოველმხრივ შემოწმებული კადრები.

სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ გაფლანგვა-დატაცებას!

მოამხმარებლის მოთხოვნილება გათვალისწინებულ იქნება

გორის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარის დ. ნინიაშვილის სიტყვა

აქ ამხანაგებმა ძირითადად ილაპარაკეს მეჯვრისხევის კოოპერაციის მუშაობის მტკივნეულ მხარეებზე, ნაკლოვანებებზე. ეს გასაგებიც არის. მომხმარებელი მისგან მოითხოვს სწორ და ზუსტ მუშაობას, კულტურულ მომსახურებას, მაღაზიებში ფართო მოხმარების საგნების სიუხვეს. ამის პირობები კი ჩვენ უნდა შევუქმნათ მეჯვრისხევის კოოპერატივს. საყვედური, რასაც მის მიმართ დღეს აქ გამოთქვამენ მომხმარებლები, მეც მეკუთვნის, როგორც რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეს. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყავით ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის მაღაზიებისადმი.

გულმოდგინედ შევისწავლით მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას, დავამყარებთ მაღაზიებში წესრიგს, უზრუნველყოფთ მათ საჭიროებულო ასორტიმენტით, ავაშენებთ ახალ მაღაზიებს, ძველს რემონტს გავუკეთებთ და ამით უკეთ მოვემსახურებით სოფლის მომხმარებელს.

• • •

დასასრულ გამოვიდა მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. თულაშვილი, რომელმაც სახელმძღვანელოდ მიიღო შენიშვნებზე გამოთქმული ყველა კრიტიკული შენიშვნა და აღუთქვა დამსწრეთ, რომ სოფლის კოოპერატივის გამგეობა უახლოეს ხანში გარდაქმნის თავის მუშაობას მომხმარებელთა ინტერესების შესაბამისად.

გაზეთების ფურცლებზე

ხალხთა მეგობრობის დროშით

ადლერის რაიონი კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი მდიდარი რაიონია. იგი მდებარეობს რსფსრ-ისა და საქართველოს სსრ საზღვართან. მოძმე რესპუბლიკების — დიდი საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს სსრ მშრომელები თავდადებით იბრძვიან საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

როგორც აფხაზეთის საოლქო გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ იტყობინება, ამას წინათ გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სასიხარულო წერილი მიიღეს მეზობელი რაიონის — ადლერის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეებისაგან. ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევდნენ ლესელიძელ კოლმეურნეებს.

„ძვირფასო ამხანაგებო, — წერდნენ ადლერის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრები, — ჩვენ კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილნი, ვშრომობთ კეთილშობილური საერთო მიზნის — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების — მსაღწევად. ერღვევა ძმური მეგობრობით შედუღაბებული საბჭოთა ადამიანები აღსავსენი ბრიან მასწრაფებით მშრომელთა კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიის უდადეს ზრუნვის უპასუხონ შრომითი გმირობითა და მამაცობით. მოგიწოდებთ, ამხანაგებო, გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის. კარტოფელის, ბოსტნეულის, მარცვლეული კულტურების, ხორცის, რძის, კვერცხის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის“...

ადლერელი კოლმეურნეები თავიანთ წერილში კისრულობდნენ კონკრეტულ ვალდებულებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

უდადესი სიხარულით მიიღეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ ადლერელთა წერილი განიხილეს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, გაითვალისწინეს თავიანთი შესაძლებლობანი, ჩაებნენ შეჯიბრებაში, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და საპასუხო წერილი გაუგზავნეს ადლერის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრებს.

ადლერისა და გაგრის რაიონების კოლმეურნეობების სოციალისტური შეჯიბრება დიდად შეუწყობს ხელს ამ ორი კოლმეურნეობის ეკონომიკის კიდევ უფრო ამაღლების საქმეს.

გათუმელ რკინიგზელთა ახალი კლუბი

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გაიხსნა ბათუმელ რკინიგზელთა კლუბი. მაყურებელთა დარბაზი 200-ზე მეტ კაცს იტევს. კლუბთან არსებობს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი 3.000 ეგზემპლარს აღემატება.

კლუბთან შექმნილია ქართული ქორეოგრაფიული ჯგუფი, მოზრდილთა და ბავშვთა რუსული თეატრალური კოლექტივი, აკორდეონის შემსწავლელი წრე, რუსული მომღერალთა გუნდი, ჭრა-კერვისა და მხატვრული ქარგვის ჯგუფები. შექმნილია აგიტმხატვრული ბრიგადა.

რკინიგზელთა კლუბი შეფობას უწევს რკინიგზის მემანქანეთა ბათუმის სამწლიან სკოლას და ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბს.

საყოფაცხოვრებო თემაზე

ულირსი შვილი

შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანები იყვნენ ჭიათურის რაიონის სოფელ მელუშეთის მკვიდრნი ონისიმე და ანა შეყრილაძეები. პარტიისა და მთავრობის დახმარებით მათ შვიდი შვილი აღზარდეს და დაყენეს ნათელი ცხოვრების გზაზე. რამდენიმე მათგანმა უმაღლესი განათლება მიიღო, ზოგმა კი სპეციალური და საშუალო სკოლის კურსი დაამთავრა.

როგორც ყოველ მშობელს, ონისიმეს და ანას ახარებდა შვილების დავაჟკაცება, წინსვლა. მათ სიამეს ჰგვრიდა ისიც, რომ ისინი მახლობელ ქალაქ ჭიათურაში მუშაობდნენ და კავშირს არ წყვეტდნენ როგორც მშობლიურ სოფელთან, ისე მშობლებთან.

მაგრამ ერთი რამ მოსვენებას არ აძლევდა მოხუც მშობლებს. ისინი ბევრს ფიქრობდნენ და წუხდნენ მხოლოდ სოფლად მყოფი შვილის გერვასისა და მისი მეუღლის მარიამის ახირებული საქციელის გამო.

გერვასი და მისი მეუღლე მართლაც ახირებული ადამიანები არიან. ისინი თავიდანვე გადმირჩეოდნენ თავიანთი კერძომესაკუთრული ტენდენციით. ამასთან ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გაეთიშათ ოჯახი, შური და მტრობა ჩამოეგდოთ მშობლებსა და ძმებს შორის.

ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს მარიამი თამაშობდა. იგი გაიძახოდა: — მე თანახმა არ ვყოფილვარ ცოლად გავყოლოდი გერვასის, ძალად, მოტაცებით მომიყვანეს აქ. მამამთილმა არა ერთხელ განმიცხადა, ოღონდ არ წახვიდე სახლიდან, თავი არ მოგვკრა, და რაც გვაბადია, ყველაფერი შენი იყოსო. ამ ნიადაგზე დაუსრულებლივ დავობდა მარიამი. მოკლედ მარიამი იმუქრებოდა, რომ გიქცეოდა გერვასის (მან ორჯერ მართლაც მიატოვა ქმარი), თუ ოჯახის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას მისი და მისი ქმარი არ დაისაკუთრებდა.

სერიოზული უთანხმოების გამო გერვასი ადრე გამოეყო ოჯახს, ცალკე დასახლდა. მაგრამ მარიამის დაეინებითი მოთხოვნით მან მიატოვა საკარმიდამო ნაკვეთი, გაყიდა თავისი სახლი და დაისაკუთრა იმ სახლის რამდენიმე ოთახი, რომელიც მის მშობლებს და ძმებს ეკუთვნოდათ.

1950 წელს გარდაიცვალა ონისიმე შეყრილაძე. ოჯახის მეთაურის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ გერვასი და მისი მეუღლე. მამის გარდაცვალება მათ ხელსაყრელ პირობად მიიჩნიეს იმისათვის, რომ სისრულეში მოეყვანათ თავიანთი ადრინდელი განზრახვა — მთლიანად დაპატრონებოდნენ მშობლების და ძმების ქონებას. დიდ დროს არ გაუვლია ონისიმეს გარდაცვალების შემდეგ, რომ გერვასიმ და მისმა მეუღლემ დაიწყეს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა მშობლებისა და ძმების ქონების ხელში ჩასაგდებად.

პირველ რიგში იერიში მოხუც დედაზე მიიტანეს. გერვასიმ უბრძანა მას დაუყოვნებლივ დაეტოვებინა სახლი და შესახლებულიყო ამ სახლზე მიდგმულ გომურში. მოხუცი დედა რამდენჯერმე დაეცა შვილისა და რძლის ფეხებთან, ბევრი ცრემლი დაღვარა, დიდხანს ევედრა მათ შეეცვალათ სასტიკი გადაწყვეტილება, მაგრამ ამაოდ, შვილისა და რძლის გული ვერ მოალბო. თვალცრემლიანი ანა იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ნაამაგარი სახლი.

ამის შემდეგ გერვასიმ ძმებს მისცა წინადადება დაეცალათ მამისეული სახლი. თან გააფრთხილა ისინი, რომ არ გაებედათ ეზოში შემოსვლა, არ ენახათ დედა.

ამ განკარგულების განხორციელებისათვის გერვასი სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. მისმა ძმებმა გენადიმ, მელენტიმ და ელეფთერმა პირველად მოლაპარაკების გზით სცადეს გერვასისთან შეთანხმების მიღწევა, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა, ჯერ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ხოლო შემდეგ ადგილობრივ რაიონულ სასამართლოს მიმართეს, მოითხოვეს, რომ წესრიგისაკენ მოეწოდებინათ თავგასული ძმისა და მისი მეუღლისათვის.

თავის დაზღვევის მიზნით გერვასიმ ძმებისა და დედის საწინააღმდეგოდ მრავალი განცხადება და საჩივარი გაგზავნა რაიონულ და რესპუბლიკურ ორგანოებში.

ის თავის განცხადებებში წერს, რომ მას, როგორც კოლმეურნეს, ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ ძმები და დედა, ცდილობენ წაართვან ყველაფერი, აწიოკებენ, სიკვდილით ემუქრებიან.

გერვასის და მის მეუღლეს არაერთხელ მისცეს რჩევა-დარიგება სასოფლო საბჭოში, რაიონის აღმასკომში, პარტიის რაიკომსა და სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში. ბევრს ელაპარაკნენ იმის შესახებ, რომ აღმზრდელისადმი, მშობლისადმი სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა ადამიანის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, თუ საბჭოთა ქვეყანაში, როგორი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებიან მშობლებს. ბევრი საყვედური უთხრეს მას ძმებისადმი დამოკიდებულებაზე და სხვ.

მაგრამ ამის შემდეგ კიდევ უფრო გაჯიუტდა გერვასი.

— ვფქვი და გათავდა! სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს ძმებს მელუშეთში ფეხს არ დავადგმევინებ... დედაჩემიც სადაც უნდათ იქ წაიყვანონ მისმა ნასწავლმა შვილებმაო.

იდგლობრივმა (ჭიათურის) სასამართლოებმა არაერთხელ მიიღეს სამართლიანი გადაწყვეტილება, გაჰკიცეს გერვასისა და მისი მეუღლის მოქმედება. ამასთან დედასა და ძმებს კანონით კუთვნილ ქონებაზე უფლება აღუდგინეს.

მაგრამ გერვასი არ დაემორჩილა სასამართლოების გადაწყვეტილებას და უმაღლეს სასამართლოს მიმართა. ამასთან მრავალი განცხადება დაწერა ჭიათურის რაისაბჭოს, პარტიის რაიკომის, პროკურატურისა და ჭიათურის ყველა რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკების წინაღმდეგ. ყველა მათგანს ბრალს სდებს თავის ძმებთან და დედასთან მეგობრულ დამოკიდებულებაში.

მიმდინარე წლის 6 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უ. კაბანაძის, მ. გოგუაძის და ი. წურწუმიას შემადგენლობით, დაკმაყოფილა რა გერვასი შეყრილაძის მოთხოვნა, თავის სხდომაზე განიხილა მისი საკასაციო საჩივარი. როგორც ამ სხდომის დადგენილების შესავლში არის აღნიშნული, ქ. ჭიათურის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება თითქოს ძალაშია დატოვებული, მაგრამ მრავლისმთქმელი „შესწორება“, რომლის ძალითაც გერვასის ძმებს უარი ეთქვათ თავიანთ სარჩელზე, იმას მოწმობს, რომ, როგორც გერვასი და მისი მეუღლე აცხადებენ, მათ „დიდი კაცები“ ჰყავთ დამხმარე და როგორც მოესურვებათ, საქმეს ისე წარმართავენ.

ჩვენთვის უცნობია თუ რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სასამართლო კოლეგია, როდესაც ასეთი „შესწორება“ შექონდა ქ. ჭიათურის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს კანონიერ, სწორ გადაწყვეტილებაში, მაგრამ ფაქტი, ფაქტად რჩება. ეს „შესწორება“ საფუძველს არის მოკლებული.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაკები ალბათ თვით შეეცდებიან ამ შეცდომის გამოსწორებას.

საბჭოთა ადამიანისათვის უცხოა ყველაფერი ის, რაც სახელს უტეხს და ჩირქს სცხებს მის ღირსებას. ჯამწუხაროდ, ჩვენში აქა იქ ჯერ კიდევ მოიპოვებიან გერვასი შეყრილაძისა და მისი მეუღლის მარიამის მსგავსი კერძომესაკუთრული მისწრაფებით გაეღენთილი ადამიანები, რომელთა წინააღმდეგ ყველანი, მათ შორის, ცხადია პირველ რიგში სასამართლოები უნდა იბრძოდნენ.

კ. სიხარულიძე.



ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მიერ აღზრდილია ახალგაზრდა მხატვარი დიმიტრი დანგაძე, რომელიც მუშაობს მხატვარ ალ. ტოგონიძის ხელმძღვანელობით. მან შექმნა ტილოები „ვლადიმერ მაიაკოვსკი ქუთაისის ვოთა გიმნაზიაში“, რომელიც გაგზავნილი იყო ნორჩ მხატვართა საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში და კარგი შეფასება მიიღო. ახლახან დ. დანგაძემ ზეთის საღებავებით დახატა სურათი „მაქსიმ გორკისა და აკაკი წერეთლის შეხვედრა ქუთაისში 1903 წელს“. სურათზე: ახალგაზრდა მხატვარი დ. დანგაძე მხატვართა კაბინეტში.

ფოტო და ტექსტი ბ. მაღლაფერიძისა.

ხალხური პოეტები და მუსიკოსები

გასულ ზაფხულს ერთი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმ მთის რაჭაში მიავლინა ექსპედიცია ზეპირი ხალხური შემოქმედების ნიმუშთა შეკრებისა და შესწავლის მიზნით. შეგროვებულია ხალხური ზეპირსიტყვიერების სამასამდე ტექსტი.

მთის რაჭაში დაცულია ხალხური შემოქმედების დიდი ტრადიცია. მიუხედავად ამისა, დღემდე იგი ამ თვალსაზრისით სისტემატური შესწავლის ობიექტი არ ყოფილა. მთის რაჭას ჰყავს შესანიშნავი მთქმელები, რომელთა რეპერტუარი აუცილებლად უნდა იყოს ფიქსირებული და შესწავლილი როგორც პოეტური, ისე მუსიკალური ფოლკლორის სპეციალისტთა მიერ.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ გლოლას მცხოვრები 90 წლის კოლმეურნის გაბრიელ ბაკურაძის რეპერტუარი. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, გაბრიელს შესანიშნავი მეხსიერება აქვს. მის მიერ გადმოცემული ტექსტები გამოირჩევიან მაღალი მხატვრულობითა და სისრულით. ასევე საინტერესოა ცნობილი მონადირის, კოლმეურნე ივანე გუტაშვილის რეპერტუარი. ივანე გუტაშვილი ხალხური სიმღერების ნამდვილი ენთუზიასტია. მისი ინიციატივით სოფელ გლოლაში ჩამოყალიბდა კოლმეურნეთა გუნდი, რომელსაც მხატვრული თვითმოქმედების რაიონულ დათვალიერებაზე და რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე დიდი წარმატება ხვდა. ივანე გუტაშვილის თაოსნობით ქართველი კოლმეურნეები ინახავენ და აღივვებენ ქართული ხალხური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს და ქმნიან ახალი სულისკვეთებითა და საბჭოთა სამშობლოს ტრფიალით აღსავსე ლექსებსა და სიმღერებს.

მთის რაჭამ შემოგვინახა ქართველი ხალხის გენიის პირველი ძეგლის „ამირანიანის“ ჯერ კიდევ უცნობი ვარიანტები და ეპიზოდები.

მეცნიერების თვალსაზრისით დიდ ინტერესს წარმოადგენს მთის რაჭაში უძველესი, ცხრა მარცვლოვანი მთიულური ლექს-სიმღერების ფიქსირება. დღემდე ეს სიმღერები ცნობილი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის. მთიულურ სიმღერათა და მათთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსის წარმოშობის და უძველეს ფორმათა შესწავლის თვალსაზრისით.

შესწავლილია ფერხულების სხვაობანი და ძველი საფერხულო სიმღერების ფორმები.

ჩაწერილია ახალი ყოფის ამსახველი მრავალი ტექსტი, რომლებშიც ხალხი ჩვენი ქვეყნის განახლებულ ცხოვრებას და დიად საბჭოთა სამშობლოს უმღერს.

ჩაწერილი მასალა გადაეცა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივს.

დოცენტი ე. ვირსალაძე.

გერმანელ მსახიობთა კონცერტები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეთა მესამე კონცერტი თბილისში მიეძღვნა პიანისტ დიტერ ცეხლინის სახოლო გამოსვლას.

ნიჟიერმა მუსიკოსმა პირველ კონცერტებშივე მიიპყრო ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო ფენების ყურადღება. სასოლო კონცერტმა, რომელიც შედგა 7 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, სავსე-ბი ცხადყო მისი მუსიკალური შესაძლებლობანი.

დიტერ ცეხლინის ოსტატობას ახასიათებს შესასრულებელი ნაწარმოების სტილისა და ჩანაფიქრის უტყუარი გრძნობა, გატაცება, ტემპერამენტი, საუკეთესოდ დამუშავებული ტექნიკა, რომელსაც იგი იყენებს როგორც მხატვრული ამოცანის გადაჭრის საშუალებას.

პიანისტის რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანია — მის პროგრამაშია ბახის, ბეთჰოვენის, შუმანის, შუბერტის, ბრამსის, შოპენის, რახმანინოვის ნაწარმოებები, რაც მოწმობს პიანისტის შემოქმედებით შესაძლებლობათა დიდ დიაპაზონს. იგი ერთნაირი ოსტატობით ასრულებს ბეთჰოვენის „პათეტიკურ“ სონატას, ბახის, შუმანის, შუბერტის, შოპენისა და რახმანინოვის ნაწარმოებებს.

გარდა კლასიკოსებისა, დიტერ ცეხლინმა შეასრულა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორის ანდრე აზრიელის სონატა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი ერნსტ ჯელმანის შესახებ

მთელი მსოფლიოს ხალხთა ხსოვნაში უკვდავია ერნსტ ტელმანის სახე. იგი იყო გერმანიის რევოლუციური მუშათა კლასის ღვიძილი შვილი, შემდგომში მისი ბელადი. ტელმანის სიცოცხლე და საქმიანობა მიმართული იყო გერმანიის მშრომელი ხალხის კეთილდღეობისაკენ. თავისი ცოდნა, ძალა და გამოცდილება, მთელი მოღვაწეობა მან გერმანიის საუკეთესო მომავლისათვის, თავისუფლებისათვის, გერმანელი ხალხის აყვავებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას შესწირა.

ტელმანის სახელი იქცა მშვიდობის, თავისუფლებისა და ადამიანთა უფლების სიმბოლოდ. ხალხის ამ თავდადებულმა შვილმა მრავალგზისი დევნისა და შევიწროების შემდეგ ცხოვრების უკანასკნელი თერმიტნახევარი წელიწადი საპყრობილეში გაატარა. ციხეშივე ვერაგულად მოკლეს იგი ფაშისტმა ჯალათებმა 1944 წლის აგვისტოს დასასრულს.

ტელმანი გადაჭრით ილაშქრებდა იმპერიალისტური ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ როგორც თავის საკუთარ ქვეყანაში, ისე სხვა ქვეყნებში, გერმანელ ხალხსა და სხვა ხალხებს მოუწოდებდა ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ.

„ჩვენ მთელი სიცხადით უნდა დავანახვოთ მთელ ქვეყანას, — წერდა იგი, — რომ ხალხის ეროვნული განთავისუფლება შეგვიძლია ისე, რომ დამპყრობლური ომი არ ვაწარმოოთ. ისინი, ნაცისტები, რევანშისტები არიან. ჩვენ, კომუნისტები, მშვიდობის პარტია ვართ“. ტელმანი არასოდეს არ ყმაყოფილდებოდა ომის წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ფრაზებითა და ლამაზი სიტყვებით. ომის წინააღმდეგ იგი აწყობდა მძლავრ დემონსტრაციებს, სხვადასხვა ქვეყნის მუშათა და გლეხთა ინტერნაციონალურ შეხვედრებს.

პირველი მსოფლიო ომამდელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა დაივიწყეს მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი გლეხობის საკითხში, ზემოდან დაუწყეს აქერა „გლეხთა რეაქციულ მასას“. არც სხვა პარტიები აფასებდნენ გლეხობას, არ მიაჩნდათ იგი მუშათა კლასის მოკავშირედ. მხოლოდ რუსეთში მომხდარმა ძლევამოსილმა სოციალისტურმა რევოლუციამ და ლენინის მიერ შემუშავებულმა მარქსისტულმა მოძღვრებამ მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ მიიყვანა გერმანიის რევოლუციური მუშები მათ მიერ დამკვიდრებული დიდი შეცდომების შეგნებამდე. ტელმანი ისწავლიდა და ავალებდა პარტიის წევრებს ღრმად შეესწავლათ გერმანიის გლეხობის ცხოვრება, დახმარებოდნენ მას გასაჭირსა და ბრძოლაში.

ტელმანი გულწრფელად იბრძოდა გერმანელი ხალხის რუს ხალხთან მეგობრობისა და ურთიერთგაგებისათვის. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს ტელმანი თვლიდა ჰიტლერის უდიდეს შეცდომად. „გერმანია, — ამბობდა ტელმანი სამამულო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე — საბჭოთა რუსეთს ვერასოდეს ვერ დაამარცხებს, რადგან ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის შემდეგ იგი გაცილებით ძლიერია, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფო. გერმანელი ხალხისათვის კი განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა ხალხთან მეგობრობა“. ეს ღრმა რწმენა ჩააქსოვა ტელმანმა იმ სიტყვებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე გესტაპოელებს მიახალა პირში: „სტალინი კისერს მოუგრეხს ჰიტლერს“.

ერნსტ ტელმანი საკუთარი დაკვირვებებით იცნობდა საბჭოთა რუსეთს. საბჭოთა კავშირში იგი პირველად 1921 წელს იყო. ყოველ თავის სიტყვაში, სტატიასა და მოწოდებაში მიუთითებდა, რომ რუსმა ხალხმა ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით იბრძოლა, გაიმარჯვა და შექმნა თავისუფალი სოციალისტური სახელმწიფო, ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც არ არიან ომის გამჩაღებლები, კაპიტალისტები და მემამულეები, სადაც არ ქადაგებენ იმპერიალისტურ შეხედულებებს, ეწევიან ადამიანის უფლებათა, ხალხთა შორის ძმობისა და მშვიდობის დიადი იდეების პროპაგანდას. ტელმანს ღრმად სწამდა, რომ „საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მშვიდობის უცვლელი პოლიტიკაა“, რომ საბჭოთა სახელმწიფო „მშვიდობის კერასა და ბუჯრს წარმოადგენს“, რომ „საბჭოთა კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტარიატს რევოლუციურ გამოსავალს და სოციალიზმის შენების მაგალითს უჩვენებს“.

განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა ტელმანი რუსეთის მუშათა მოძრაობის, ლენინ — სტალინის პარტიის ისტორიას.

აი ყოველივე ამის შესახებ, ტელმანის პოლიტიკური ბიოგრაფიის შესახებ მოგვითხრობს ვილი ბრედელი წიგნში „ერნსტ ტელმანი“, რომელიც თარგმნა ო. გვინჩიძემ და გამოსცა საბლიტგამმა.

ვ. ბრედელი დემოკრატიული გერმანიის მოწინავე ადამიანია. ამ კომუნისტმა მეზრალმა მეტად საინტერესო შემოქმედებით გზა გაიარა, დაწერა ბევრი შესანიშნავი მოთხრობა და რომანი, რომლებშიც ასახა გერმანელი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ფაშისტთა ურდოების განადგურება სტალინგრადთან, დახატა თავისი ქვეყნის მუშათა მოძრაობის ისტორია. ბრედელმა პირველმა სცადა ხელახლა გამოეკვეთა გერმანიის მუშათა კლასის ბელადის ერნსტ ტელმანის სახე.

თავის წიგნში ვ. ბრედელი გვაწვდის ცნობებს ტელმანის მშობლიური სახლის, ბავშვობის, ჰამბურგის მუშათა გაფიცვების, მისი პროფკავშირული მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდის შესახებ, გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდა ტელმანი მუშათა კლასის ინტერესებისათვის, ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, გერმანიაში მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის გავრცელებისათვის, ანტიფაშისტური ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის მტრების, პირველ რიგში ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პარტიის შიგნით ოპორტუნისტული ჯგუფების წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისათვის.

წიგნში მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ერნსტ ტელმანის წინააღმდეგ იმ პროცესის მზადების შესახებ, რომელიც არ შემდგარა, აღწერილია ტელმანის დასაცავად წარმოებული კამპანია, რომელსაც ეწეოდა მთელი პროგრესული მსოფლიო მაქსიმ გორკის, რომენ როლანის და სხვათა სახით, მხილებულია გერმანელი ფაშისტების მიერ გავრცელებული ყალბი ცნობები, რომ თითქოს ტელმანი დაიღუპა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკზე ერთ-ერთი საპაერო თავდასხმის დროს, ნაჩვენებია, რომ ერნსტ ტელმანი არასოდეს არ ყოფილა პატიმრად ბუხენვალდში, რომ იგი იქ მიიყვანეს საგანგებოდ — მხოლოდ და მხოლოდ მოკვლის მიზნით.

ვ. ბრედელის წიგნს დართული აქვს ვილჰელმ პიკის წინასიტყვაობა, ერნსტ ტელმანის ხსოვნის აღსანიშნავად ვალტერ ულბრიხის მიერ 1949 წლის აგვისტოში წარმოთქმული სიტყვა. დამატების სახით ერთვის წერილი, რომელიც ტელმანმა პასუხად გაუგზავნა ბაუცენის სასჯარობლეში მყოფ ამხანაგს, და ნ. კალნინდარიშვილის სტატია, რომელშიც ზოგადი შტრიხებით მოცემულია ვილი ბრედელის შემოქმედებითი გზა.

კარგი ქართული ენით ნათარგმნ წიგნში გაპარულია ორთოგრაფიული შეცდომები. მაგალითად, უნდა იყოს ტალპიმერი და არა „ტალგაიმერი“ (გვ. 157); ბაუცენის და არა „ბაუტცენის“ (გვ. 21 და სხვა). ბრედელის რომანის სახელწოდება „შენი უცნობი ძმა“ და არა „შენი უმცროსი ძმა“ (გვ. 232).

აუცილებელი იყო წიგნს დართოდა კომენტარები, ურომლისოდაც ტექსტი შეიძლება გაუგებარი იყოს იმ ადგილებში, სადაც ლაპარაკია, მაგალითად: „ტირპიცებზე და ფალენჰაინსენზე“ (გვ. 47), „ყაბო და პარიკზე“ (გვ. 57), „რაიტერფრისლანდებზე და ურბანსებზე“ (გვ. 157) და ა. შ.

ვ. ბრედელის წიგნის გამოცემა ქართულ ენაზე მეტად სასარგებლო საქმეა. იგი მკითხველებს შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფის ერნსტ ტელმანის ცხოვრებასა და ბრძოლას თავისუფალი, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის.

შ. რევიშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

* ვილი ბრედელი — „ერნსტ ტელმანი“.

ამერიკელთა და ლისინმანელთა სამხედრო შეთანხმება მოქმედებს

პირველ ოქტომბერს ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა ეგრეთწოდებული „ურთიერთ უშიშროების ხელშეკრულება“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეის მარიონეტულ მთავრობას შორის. ეს ხელშეკრულება წინათ პარაფირებული იყო სეულში დალესისა და ლი სინ მანის მიერ. ამ ხელშეკრულებით ამერიკის შეერთებული შტატები განუსაზღვრელი ვადით ტოვებენ სამხრეთ კორეაში თავიანთ ჯარებსა და სამხედრო ბაზებს. ამრიგად, სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი კორეის ამ ნაწილში არა მარტო რჩება, არამედ ოფიციალური დოკუმენტითაც მტკიცდება.

უცხოეთის ჯარების გაყვანა კორეელი ხალხისათვის უზრუნველყოფდა შესაძლებლობას თვითონ გადაწყვიტა თავისი საქმეები. მაგრამ ამერიკელ იმპერიალისტებს ამოქმედებს მისწრაფება კვლავაც შეინარჩუნონ სამხედრო პლაცდარმი აზიის კონტინენტზე და დატოვონ დაძაბული მდგომარეობა შორეული აღმოსავლეთის რაიონში, გაგრძელონ და გააძლიერონ სამხრეთ კორეის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია და საბოლოოდ გადააქციონ ეს ქვეყანა თავიანთ კოლონიად.

კორეელი ხალხი საკუთარი გამოცდილებით გაეცნო ოკეანესგაღმელი ოკუპანტების ნამდვილ სახეს. ამერიკელთა სამხედრო ხროვა სამხრეთ კორეაში გადასხდომის მომენტიდან — 1945 წლიდან აქ მუდამ ისე იქცეოდა, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. ძარცვა, ძალადობა, უწესობა — ყველაფერი ეს ხდებოდა ყველგან, საიაც კი გამოჩნდებოდნენ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები.

მაგრამ ყველა უწესობა და უმსგავსობა იმ უბედურების მხოლოდ ეპიზოდია, რომელიც ამერიკელმა ოკუპანტებმა კორეელ ხალხს მოუტანეს. სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ახორციელებენ ქვეყნის დამონებას, ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტად და სამხედრო პლაცდარმად მისი გადაქცევის პოლიტიკას. მათი იქ ყოფნის პირობებში ცხოვრობს ამერიკელ ოკუპანტთა უღელქვეშ სამხრეთ კორეის მოსახლეობა. სოფლის მეურნეობა ამ ქვეყანაში მთლად დაეცა. ამის შედეგად მოსახლეობის 80 პროცენტი უზრუნველყოფილი არ არის ბრინჯით, ხოლო დაახლოებით ოთხმილიონნახევარი კაცი ბალახითა და ხის ქერქით იკვებება. გზებზე ჯგუფ-ჯგუფად დაბრწიან მათხოვრები, უმუშევრები. მოსახლეობის 67 პროცენტს საარსებო სახსრის შოვნის შესაძლებლობა არა აქვს. მუშების ხელფასი მეტად დაბალია და საარსებო მინიმუმის მხოლოდ დაახლოებით ერთ მეხუთედს შეადგენს. განუწყვეტლივ მატულობს ფასები. მაგალითად, პუსანის რაიონში ფასები უკანასკნელ წლებში 63-ჯერ გადიდდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების არმიას კორეაში, მოსახლეობის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაა. ამერიკელ იმპერიალისტებს ესმით — საკმარისია გაყვანილ იქნან ინტერვენციონისტთა ჯარები კორეის ნახევარკუნძულიდან, რომ ხალხმა დაუყოვნებლივ დაამხოს ლი სინ მანის ხროვა. სამხრეთ კორეაში დემოკრატიული ძალების ბრძოლის ჩასახშობად ამერიკის შეერთებული შტატების უბადაღებული გამოძიების ფედერალური ბიუროს ნიმუშის მიხედვით შექმნილია „ცენტრალური სამეგრო სამმართველო“. დიდი ძალებია მობილიზებული გმირ სახალხო პარტიზანთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ყოველნაირად აქეზებენ სამხრეთკორეელი დიქტატორის აგრესიულ გეგმებს. ინგლისის გაზეთი „ნორკშირ პოსტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლი სინ მანმა ლამის აიწყვიტოს“ და რომ „ბევრი ორგანიზაცია და პიროვნება შეერთებულ შტატებში, შეიძლება ითქვას, კვლავ აქეზებს მას“. ახალ სამხედრო ლაშქრობათა შესახებ, ლისინმანელთა „სახელმწიფოსთან“ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის ომის გზით შეერთების აუცილებლობის შესახებ ლისინმანელთა უბედობის უკან ამერიკის სამხედრო ხროვის გრძელი ყურები მოჩანს. ამერიკელთა და ლისინმანელთა სამხედრო ხელშეკრულება ამხილებს აგრესორებს, რომლებიც ცდილობენ მშვიდობისმოყვარეობის ნიღაბი აიფარონ.

განაგრძობენ რა თავიანთ პროვოკაციულ მოქმედებას, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ანგარიშს არ უწევენ იმ ერთსულოვან აზრს, რასაც გამოთქვამენ ხალხები, რომლებიც სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ ამერიკელთა ჯარების გაყვანას უცხოეთის ტერიტორიებიდან, იქ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზების ლიკვიდაციას, ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით.

რ. ოკულოვი.

„დახმარებისა“ და ლისინმანელთა ჯარებისადმი „მეთვალყურეობის“ შესახებ ხმაურში ამერიკის შეერთებული შტატები ამენებენ სამხედრო სიმაგრეებსა და ნაგებობებს — ამაგრებენ თავიანთ პლაცდარმს აზიის კონტინენტზე. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწეს ჰანას წამოსცდა, რომ ამერიკის ჯარები სამხრეთ კორეაში ამზადებენ „თავდაცვის ახალ ძლიერ ხაზს“.

იმ საბაბით, რომ „აღადგინონ სამრეწველო საწარმოები“ (რომლებიც ამერიკის ჯარებმა დაანგრიეს), ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებმა სამხრეთ კორეაში შექმნეს დიდი კომპანიები, როგორიც არის ელექტროსაზოგადოება, ტეხანის ნავთობის კომპანია, ტეხანის საზღვაოსნო საზოგადოება, და ხელთ იგდეს სამხრეთ კორეის ელექტროსადგურები, ნავთობის მოპოვება და ზღვაოსნობა. ვოლფრამის დიდი სამადნეები — სანდონი კანვონის პროვინციაში და დარსენი ჩრდილოეთ კენსანის პროვინციაში ნენვორის, ხვასუნის, მუნგენის, ტიანიანის, კენდიუს ქვანახშირის მაღაროები, ოქროს ათი უდიდესი საბადო, რომელთა შორის არის კიმდენი, კიმდე და ულფხო, გამოცხადებულია „სახელმწიფო“ საბადოებად და ერთობლივი ექსპლოატაციის საბაბით ამერიკის მონოპოლიების ხელში გადავიდა.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები, რომლებიც ამერიკის ჯარებს მოჰყვნენ, ყბედობენ სამხრეთ კორეისადმი „დახმარებაზე“ და ... „სულგრძელად“ ახრჩობენ ჯერ კიდევ დარჩენილ ეროვნულ მრეწველობას. როგორც სამხრეთ კორეის გაერთიანებული დეპეშათა სააგენტო იუწყება, კორეის ეროვნული კაპიტალის ხელში რჩება მხოლოდ 173 ქარხანა და ფაბრიკა, რომელთა შორის 70 წვრილი საფეიქრო ფაბრიკაა, 45 ქიმიური და 14 მექანიკური პატარა ქარხანა. მაგრამ მათ გაკოტრება მოელით: ბაზრები სავსეა ჩაწოლილი ამერიკული და იაპონური საქონლით.

ამას წინათ სამხრეთ კორეის მარიონეტულმა „ეროვნულმა კრებამ“ მიიღო ახალი კანონი საბაჟო ტარიფების შესახებ. ამ კანონის მიხედვით ის სამომხმარებლო საქონელი, თვითმფრინავები, მათი სათადარიგო ნაწილების და 100 ტონაზე მეტი წყალწყვეტა გემები, რაც სამხრეთ კორეაში „დახმარების“ მიზნით შეაქვთ, თავისუფლდება ბაჟისაგან. ეს მძიმე ლახვარი იქნება მთლად გაჩანაგებული ეროვნული მრეწველობისათვის, რომელიც, უცხოელთა კონკურენცია რომ არ ყოფილიყო, თვითონ შეძლებდა სამომხმარებლო საქონლის წარმოებას. ინგლისის ბიულეტენი „ფორინ რიპორტი“ წერდა, რომ „ამერიკელები, რომლებსაც მხარს უჭერს „იუნკრა“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული კორეის აღმდგენი ორგანო... დაჟინებით მოითხოვენ, რომ მთავარი ყურადღება მიექცეს“ არა სამხრეთ კორეის მრეწველობის აღდგენას, არამედ უცხოეთის ბაზრებზე სამომხმარებლო საქონლის შეძენას.

კორეის შრომის პარტიის გაზეთის „ნოდონ სინმუნის“ ცნობით, იმ თანხიდან, რომელიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა „დახმარების“ სახით გამოუყვეს სამხრეთ კორეის მმართველებს, დაახლოებით 70 პროცენტი განკუთვნილია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება

პეკინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გუშინ გააკეთა შემდეგი განცხადება იმ უკანონო რეზოლუციის გამო, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო და რომელიც ცილს სწამებს კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარებს:

1. 1951 წლის 1 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უკანონოდ მიიღო შეურაცხმყოფელი რეზოლუცია, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ცილისმწამებლურად უწოდებს „აგრესორს“. ახლა იგი კიდევ უფრო შორს წავიდა და 1953 წლის 3 დეკემბრის მიღო რეზოლუცია, რომელიც შეერთებულ შტატებთან ერთად შეიტანა 4 ქვეყანამ — შეერთებული შტატების სატელიტებმა. ეს რეზოლუცია, რომელიც მიღებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა დაუსწრებლად, გამოთქვამს „სერიოზულ შეშფოთებას“ და „გმობს“ ეგრეთწოდებულ „მხეცობას“, მიუხედავად ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის პროტესტისა, უგულებელყოფს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სამართლიან პოზიციას, აგრეთვე აზიისა და არაბთა ქვეყნების დიდი უმეტესობის მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო აზრს. მიღებული რეზოლუცია, რომელიც დამყარებულია შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შეთხზული მოხსენებაზე და რომელიც შეიცავს ცილისმწამებლურ მტიცებას, თითქოს კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარები სჩადიოდნენ „მხეცობას“ გაერთიანებული ერების სამხედრო ტყვეებისა და კორეის სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, აშკარად უკანონო, ცილისმწამებლური და ძალა არა აქვს. იგი ახალი სამარცხვინო ფურცელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში.

2. შეერთებული შტატების მთავრობის ცილისწამება კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარების მიმართ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ომი ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარები ეწოდნენ, უაღრესად სამართლიანი ომი იყო. ამიტომ კორეისა და ჩინეთის სახალხო მეომრები როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, გამსჭვალული იყვნენ რევოლუციური ჰუმანიზმის იდეით სულისკვეთებით. მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ ეს მეომრები იცავდნენ მოსახლეობას და ლმობიერად ეპყრობოდნენ სამხედრო ტყვეებს. ბევრი უშუალოდ რეპატრიირებული სამხედრო ტყვის კარგი ჯანმრთელობა, აგრეთვე მათ მიერ გამოთქმული მადლობა, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კორეა-ჩინეთის მხარე გაერთიანებული ერების სამხედრო ტყვეებს მუდამ ეპყრობოდა უფრო ლმობიერადაც კი, ვიდრე გათვალისწინებულია ჟენევის კონვენციით. პოლიტიკა კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარებისა, რომლებიც იცავდნენ მოსახლეობას და ლმობიერად ეპყრობოდნენ სამხედრო ტყვეებს, სავსებით უპირისპირდება შეერთებული შტატების აგრესიული ჯარების პოლიტიკას, რომელნიც ხოცავდნენ კორეელ მოქალაქეებს და ცუდად ეპყრობოდნენ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს. ამიტომ შეერთებული შტატების მთავრობა ყოველნაირად ცდილობს შეთხზას სიცრუე, რათა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ როგორც უნდა გამოიყენონ შეერთებულმა შტატებმა თავიანთი უმრავლესობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა შეთხზან ბოროტი ცილისწამება კორეა-ჩინეთის მხარის წინააღმდეგ, ფაქტები იმდენად უდავოა, რომ შეერთებული შტატები ვერასოდეს ვერ მიაღწევენ თავიანთ სამარცხვინო მიზანს. პირიქით, ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ უფრო მეტად მხილებულ იქნას ამერიკის იმპერიალიზმის მხეცობა, და უფრო შებღალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს.

3. არა სხვა ვინმე, არამედ თვით ამერიკელი აგრესორები არღვევდნენ საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანურობის პრინციპებს კორეის ომის დროს. ადამიანებს არასოდეს არ დაავიწყდებათ, რომ ჯერ-ჯერობით ამერიკის შეიარაღებული ძალები აყრიდნენ მილიონობით ტონა ბომბს კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, რომ სწორედ ამერიკის შეიარაღებული ძალები არ ერიდებოდნენ ნაპალმისა და ქიმიური ბომბების ხმარებას ადამიანთა მასობრივი მოსპობისათვის, რომ ჯერ-ჯერობით ამერიკის შეიარაღებული ძალები ეწოდნენ არაადამიანურ ბაქტერიოლოგიურ ომს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიაზე, რომ სწორედ ამერიკელი და ლისინმანელი შეიარაღებული ძალები ხოცავდნენ ათეულ ათასობით კორეელს, ძარცვავდნენ მათ, ულმობლად სპობდნენ მათს ფაბრიკა-ქარხნებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, კულტურის ძეგლებსა და ბინებს, რომ სწორედ ამერიკის შეიარაღებული ძალები და ლისინმანელთა რეაქციული ბანდა იყენებდნენ უაღრესად მხეცურ და მკაცრ საშუალებებს და არღვევდნენ ჟენევის კონვენციას, სდევნიდნენ და ხოცავდნენ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს ბანაკებში კოჯედოს, ჩეჯუდოსა და პონგამის კუნძულებზე და სხვა ადგილებში. ახლაც კი ამერიკის სამხედრო ხელისუფალნი კვლავ ხელმძღვანელობენ კორეის დემილიტარიზებული ზონის ბანაკში ლისინმანელთა ჩანკაიშელთა აგენტებს, რომლებიც ძალად დაკავების მიზნით აშინებენ კორეელ და ჩინელ იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან უშუალო რეპატრიაციას, სდევნიან და ხოცავენ სამხედრო ტყვეებს, რომელთაც სურთ რეპატრიაცია.

ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი ყველა ამ მხეცობის უდავო დამამტკიცებელ საბუთებს შეიცავენ გამოკვლევის შესახებ მიუკერძებელი მოხსენებანი, რომლებიც გააკეთეს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომისიამ, დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიამ, კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების გამომკვლევმა საერთაშორისო სამეცნიერო კომისიამ, ამ საბუთებს შეიცავენ ამერიკელი და ინგლისელი კორესპონდენტების მიერ გაგზავნილი ინფორმაციები, შვეიცარიის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ინფორმაციები და სამხედრო ტყვეთა ამერიკის ბანაკების კომენდანტების, ბრიგადის გენერლების დოდისა და კოლსონის განცხადებანი, აგრეთვე ამას წინათ ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის მიერ სამხრეთ კორეის აგენტის პაკ ტონ ხენის გამოქვეყნებული საიდუმლო ინსტრუქცია, რომელიც განკუთვნილი იყო კორეის დემილიტარიზებული ზონის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ლისინმანელი და ჩანკაიშელი აგენტებისათვის. შეერთებული შტატების მთავრობამ და ლისინმანელთა რეაქციულმა ბანდამ ერთხელაც ვერ გაბედეს უარეყოთ ყოველივე ეს, არამედ, პირიქით, როგორც დამნაშავენი, იძულებული გახდნენ გაჩუმებულიყვნენ. აი სწორედ ისინი უნდა დაეგმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

4. ეს პროვოკაციული მოხსენება წარდგენილია ახლა, როცა მთელი მსოფლიო დაკვირვებით ადევნებს თვალყურს კორეაში დროებითი ზავის დამდები ორი მხარის თათბირს პანმუნჯონში, რათა ამ მოხსენებამ ხელი შეუწყოს იმას, რომ განხორციელდეს საზარელი ვიგმა შეერთებული შტატების მთავრობისა, რომლის ხელები დასვრილია კორეელი და ჩინელი ხალხების სისხლით. იმის მიზეზი, თუ რატომ იყენებს შეერთებული შტატების მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მის მიერ შეთხზული სიცრუის გასავრცელებლად, ის არის, რომ მსოფლიოს ყურადღება ჩამოაშოროს სინამდვილეს და შეინარჩუნოს დაძაბულობა შორეულ აღმოსავლეთსა და აზიაში, რათა გაიადვილოს კორეის საკითხთა პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შემდგომი გაჭიანურება, ასეთი გზით სავსებით ჩაშალოს ახლანდელმარტებითი მუშაობა სამხედრო ტყვეთა შორის, გაადვილოს თავისი სამხედრო ბაგრეთა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის წინააღმდეგ, დაარჩაროს იაპონიის ხელახლა შეიარაღება, გაფართოოს თავისი სამხედრო ბაზების ქსელი აზიაში და წინ წასწიოს აგრესიული სამხედრო ბლოკის ორგანიზაცია აზიაში, აგრეთვე განაგრძოს გამალებული შეიარაღებისა და საომარი მზადების პოლიტიკა. ყველა პატიოსანმა ადამიანმა, რომელსაც სურს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფხიზლე მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული ამ საზარელი გეგმის მიმართ, გეგმისა, რომელსაც ამზადებს შეერთებული შტატების მთავრობა და რომელიც ეფარება ამ ცილისმწამებლურ მოხსენებას. ჩინელი ხალხი მტკიცედ და გადაჭრით ილაშქრებს შეერთებული შტატების ამ საზარელი შეთქმულების წინააღმდეგ.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავდაპირველად იქმნებოდა როგორც საყოველთაო საერთაშორისო მშვიდობის ხელშემწყობი დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ახლა, როცა კორეაში დაზავებამ საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება გამოიწვია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელსაც ამის უფრო მეტი საფუძველი აქვს, უნდა მიეღო მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის სურვილის შესაბამისად ეფექტიანი ღონისძიებანი კორეაში სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ შეთანხმების ბოლომდე შესრულების უზრუნველსაყოფად და პოლიტიკური კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევისათვის ხელშესაწყობად, რათა გაადვილებინა კორეის საკითხის მშვიდობიანი წესრიგება. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა კვლავ მისდევს შეერთებული შტატების პოლიტიკას — „ცივი ომისა“ და პროვოკაციების პოლიტიკას, უგულებელყოფს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობას და მის კანონიერ უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ეს რეზოლუციაც კი მიიღო, რომელიც ცილს სწამებს კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარებს. ეს კვლავ ბღალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს და როლს საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობის შენარჩუნების საქმეში. თუმცა საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მუდამ იღებდნენ ღონისძიებებს, რათა შესაძლებლობა მიეცათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის შეესრულებინა თავისი მოვალეობანი საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, რაც აგრეთვე სურს აზიისა და არაბთა ბევრ ქვეყანას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ ქედი მოიხარა შეერთებული შტატების ზეგავლენის წინაშე და, ამრიგად, აიძულა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფრო დაშორებოდა თავის პირვანდელ მიზანს და ჩაფლულიყო კიდევ უფრო ღრმა კრიზისში.

უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ეს სასაცილო და სამარცხვინო რეზოლუცია, ისევე, როგორც 1951 წლის რეზოლუცია, რომელმაც ჩინეთი „დაგმო“ როგორც „აგრესორი“, ოდნავაც ვერ ავნებს კორეელ და ჩინელ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან სამართლიანობისა და სიმართლისათვის. პირიქით, იგი მხოლოდ ცხადყოფს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაიქცა შეერთებული შტატების მთავრობის პროპაგანდის ორგანად და მორჩილ იარაღად, რომელიც ომის ამერიკელ გამჩაღებლებს წაახალისებს საერთაშორისო დაძაბულობის შესაქმნელად. ამრიგად, ყველა სახელმწიფომ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შეერთებული შტატების ამ რეზოლუციას, უნდა იკისროს სერიოზული პასუხისმგებლობა მათი მოქმედების ყველა შედეგისათვის.

6. ჩინელი ხალხი გამოთქვამს დიდ აღშფოთებას ამ სამარცხვინო რეზოლუციის გამო, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უკანონოდ მიიღო და რომელიც კორეისა და ჩინეთის სახალხო ჯარებს ცილისმწამებლურად აბრალებს „სისასტიკეს“. ამით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით დავალებულ მაქვს უაღრესად მტკიცედ დავგმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს მოქმედება. ჩვენ მოვუწოდებთ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებს და ყველას, ვინც მხარს უჭერს სამართლიანობას, დაიწყონ აქტიური ბრძოლა ყველა იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაქცევა ომის ამერიკის პოლიტიკის განხორციელებისა და შეერთებული შტატების აგრესიის სისასტიკის მიჩქმალვის იარაღად, და ყოველი ღონისძიება მიიღონ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნამდვილად დაუბრუნდეს მისი წესდებით დასახულ გზას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი მზად არიან ამ მიზნის მისაღწევად იმუშაონ ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე მთავრობებთან და ხალხებთან ერთად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის წერილი საფრანგეთის ეროვნული კრებისადმი

ბერლინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმმა 5 დეკემბერს საფრანგეთის უმაღლესი კომისრის ფრანსუა პონსეს მეშვეობით საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ე. ერიოს და ეროვნული კრების ყველა დეპუტატს გაუგზავნა წერილი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმი თავის წერილში საფრანგეთის ეროვნულ კრებას მოუწოდებს უარყოს ხელშეკრულება ევროპოწოდებული „ევროპის არმიის“ შესახებ და „გააერთიანოს ფრანგი ხალხისა და გერმანიაში მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნას ხელახლა შეიარაღება დასავლეთ გერმანიისა, საფაც გაბატონებული არიან აგრესიული ძალები“.

მაკის წერილი ირანის პრემიერ-მინისტრისადმი

თეირანი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „შაჰედმა“ მოათავსა ტექსტი წერილისა, რომელიც მაკიმ გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ ზაჰედის ირანსა და ინგლისს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების გამო.

წერილის დასაწყისში მაკი აღნიშნავს, რომ 1952 წლის ოქტომბერში მეჯლისის სხდომის დამსწრე 61 დეპუტატიდან 60 დეპუტატმა ხმა მისცა ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის სასარგებლოდ, სამწუხაროდ, ამბობს შემდეგ მაკი, თქვენმა მთავრობამ ირანელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ გადაწყვიტა აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან ნავთობის საკითხის გადაჭრამდე.

ირანელი ხალხი დარწმუნებულია, განაგრძობს მაკი, რომ ნავთობის საკითხის გადაჭრამდე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ეწინააღმდეგება ირანის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიურ ინტერესებს, აგრეთვე ირანის ეროვნული დირსების შენარჩუნების ცნებას. დიპლომატიური ურთიერთობა რომ დამყარდება, ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეები და მათი აგენტურა კვლავ დაიწყებენ თავიანთ წამაქეზებელ საქმიანობას და კიდევ უფრო მეტად ჩაერევიან ირანის საშინაო საქმეებში. ირანელი ხალხი უკვე ახლა ხედავს, წერს მაკი, რომ შეიფროფება ეროვნული პრესისა, რომელმაც დუმილით ვერ აუარა გვერდი ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ფაქტს, მიზნად ისახავს შექმნას შიშის ატმოსფერო და ამ ვითარებაში განახორციელოს თავისი მიზნებიდ.

„სრული სიმტკიცით გაცხადებ, წერს მაკი, რომ ირანში ინგლისის პირველი დიპლომატიური წარმომადგენლის ჩამოსვლა მიმაჩნია იმ კოლონიზატორთა უხილავი არმიის პირველი ეშელონის შემოჭრად, რომლებმაც მიზნად დაისახეს დაიპყრონ ირანი, და ირანელი ხალხს სახელით ეროვნული გლოვის დღედ ვაცხადებ ამ დღეს. მთავრობის ამ ღონისძიების საპასუხოდ, რომელიც განხორციელდა მეჯლისის ნებადართველად და მოუწონებლად, გაახლებთ ჩემს ცისფერ ფურცელს, რომელიც იმის ერთადერთი კანონიერი საშუალებაა, რომ გამოვხატო უთანხმოება თქვენი მთავრობისადმი. ვაცხადებ, რომ თქვენი მთავრობის ეს ღონისძიება, განზრახ ხდება ეს თუ არა, სპობს მთელი იმ ზრომისა და გაჭირვების ნაყოფს, რაც ირანელმა ხალხმა გადაიტანა. მაგრამ დარწმენებული იყავით, რომ ირანელი ხალხი არასოდეს არ აიღებს ხელს იმ პრინციპებზე, რომლებე მას სწამდა, და მომავალში გასამართლებლად არ მიიღებს არავითარ სბაბს და მიზეზს, როგორიც არის ზეგავლენა, მუქარა, ძალადობა, და მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო მოულოდნელი შედეგებისათვის დაგეკისრებათ თქვენ და თქვენს მთავრობას“.

მოსადიკის გასამართლება

თეირანი, 8 დეკემბერი. (საკდესი). მოსადიკისა და ირანის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის რიახის საქმის გამო სასამართლო პროცესზე 3, 5 და 6 დეკემბერს სასამართლომ დაკითხა როგორც მოწმეებს ყოფილ მინისტრებს: იუსტიციის მინისტრ ლატფის, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ მალეკის და ფინანსთა მინისტრის მოადგილე მობაშერს, აგრეთვე პროპაგანდისა და პრესის სამმართველოს ყოფილ გენერალურ დირექტორს ბაშრი ფარაპმანდს, თეირანის ყოფილ სამხედრო გუბერნატორს ამრაფის, სამხედრო პოლიციის სამმართველოს ყოფილ უფროსს მოდაბერს და სხვა პირებს. შემდეგ დაკითხეს დოქტორ მოსადიკს და გენერალ რიახის.

5 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გენერალ რიახის დაცველმა პოლკოვნიკმა შაჰკოლმ აღნიშნა, რომ სასამართლო არ ასრულებს სისხლის სამართლის სამხედრო კოდექსის ზოგიერთ მუხლს, რომელთა საფუძველზე ბრალდებულს თავდაცვის უფლება აქვთ. ამასთან ერთად მან სთხოვა სასამართლოს დანიშნოს ბრალდებულთა დაცვის წარმომადგენლების გამოსვლის დრო.

თავმჯდომარემ ამის პასუხად განაცხადა, რომ სასამართლო თავის მოვალეობას ასრულებს კანონის შესაბამისად და რომ დაცულია ბრალდებულთა თავდაცვის უფლება.

აგრეთვე უარყოფილ იქნა საღამოს სხდომაზე მოსადიკის დამცველის პოლკოვნიკ ბოზორგმეჰრის ანალოგიური შენიშვნა.

ამერიკა-პაკისტანის სამხედრო მოლაპარაკება

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კარაჩიდან იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი პაკისტანის დედაქალაქში იმ მომენტში ჩავიდა, როცა ფართოდ ვრცელდება „აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სულ ცოტა ხანში დადებენ შეთანხმებას უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის პროგრამით პაკისტანისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ... პაკისტანელთა და ამერიკელთა წრეები კარაჩში ფიქრობენ, რომ შეთანხმების დადება მხოლოდ დროის საკითხია, და აღნიშნავენ, რომ უკვე დამთავრებულია შეთანხმების მოსამზადებელი მუშაობის ნაწილი“.

თბილისი ბიბლიოთეკა

ინდოელი ლიტერატორები საქართველოში

საქართველოში ექვს დღეს ყოფნის შემდეგ თბილისიდან ერევანს გაემგზავრნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი, სრულიად ინდოეთის მშვიდობის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე მადან მოჰანლაე ატალი და ინდოელი პროზაიკოსი ნავთეჯი.

სტუმრები იყვნენ თბილისის კომეოლ-მაუდის ფაბრიკაში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ავლაბრის ყოფილ არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში, კინოსტუდია „საქართველოს ფილმში“. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახეს სპექტაკლები „აბესალომ და ეთერი“ და „მშვიდობისათვის“.

ინდოეთის კულტურის მოღვაწეებმა ინახულეს აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ესაუბრნენ მის რექტორს პროფესორ ე. ბურჭულაძეს. ისინი მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა. გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა ინდოელი ლიტერატორებისა და ქართველი მწერლების შეხვედრამ.

უცხოელი სტუმრები იყვნენ გორში და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. სუხუმში ისინი გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიური სადგურის, ბოტანიკური ბაღის მუშაობას, ადგილობრივ დრამატულ თეატრში ნახეს ს. კლდიაშვილის პიესა „დღესასწაული საკრეულში“. გაგრაში მადან მოჰანლაუ ატალმა და ნავთეჯმა დაათვალიერეს სანატორიუმი „უკრაინა“ და ამ რაიონის სოფელ სიხარულის კოლმეურნეობა „წინსვლა“.

თბილისიდან ინდოელ ლიტერატორთა გამგზავრების წინ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა მათ პატივსაცემად გამართა დრამბარაბა, რომელზეც იყვნენ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საკდესი).

მარიამ გარიყულის შემოქმედებითი საღამო

7 დეკემბერს მწერალთა კლუბში გაიმართა მხცოვანი მწერლის მარიამ გარიყულის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კ. ლორთქიფანიძემ.

მარიამ გარიყულის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ლ. ასათიანმა, რომელიც შეეხო მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობას რევოლუციამდელ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდებში.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ მწერლები: შ. დადიანი, გ. ლეონიძე, ა. ხახუტაშვილი, ნ. ნაკაშიძე, პ. ბახტურიძე და თეატრმცოდნე ს. გერსამია. საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულავამ, თ. ჯაგაულაშვილმა და ვ. შუბლაძემ. ფხატვარმა თ. ჭიჭიგურმა იუბილარს მიართვა მის მიერ შესრულებული პორტრეტი.

მარიამ გარიყულმა დამსწრეთ დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

9 დეკემბერს საღამოს 8 საათზე მოეწყობა კონსულტაცია დალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესწავლილი წრის პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „ფილოსოფიაში ორი ბანაკის — მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლა“. კონსულტანტი დოცენტი ვ. სიგუა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

პროგრამის მთლიანი გამოცვლა

რუსეთის სახალხო არტისტის

ვლადიმერ დურეროვის ბესტგრილები

თავისი გაწვრთნილი ცხოველებით

და დიდი საცირკო პროგრამა

ახლად ჩამოსულ მსახიობთა

მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 13 დეკემბერს,

დღის 2 საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 24, პლეხანოვის პროსპ. № 97. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

9 დეკემბერს	ომსკი-კორსაკოვი — **მეფის საცოლე**
10 დეკემბერს	დ. თორაძე— **მშვიდობისათვის**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — დიდი ხელმწიფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — თივა და ავი ძაღლი, **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლურჯა (აბონემენტი № 34, 10 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, **თბილისი, ისანი, 26 კომისრის, პლეხანოვისა და ვოროშილოვის კლუბები** — დაკარგული მელოდიები, **კომკავშირელი** — შემთხვევა უდაბნოში, **კოლხიდა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — ვისა ქელეხნოვა, **კოლმეურნე** — ვაჟიშვილები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 23 დეკემბერს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ტუბან ხაბასას-ძე კუმიკოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Земельные отношения в Кабарде в первой половине XIX в. и земельная реформа 1863—1869 гг.“**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **ბ. სკიტსკი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ზ. ანჩაბაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის რკინიგზის ვაჟთა მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგიური ტრადიციებისა **ალექსანდრე ონისიმეს-ძე აბულაძის** გარდაცვალებას.

სიძე ბესარიონ, დისწულები ივანე, მარიკა, დავით კაკარავები, რძალი ნინო ყიფშიძე შვილებით იუწყებიან **ნატაშა ნიკოლოზის ასულ დუნდუა-ბოლქვაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები კონსტანტინე, დავით, ქრისტო, შალვა, ნათელა, ავთანდილ, ცოლისდა ქსენია, რძლები, სიძე, შვილიშვილები იუწყებიან **აკაკი ივანეს-ძე სუხიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-XII, 7 ს. გამოსვენება 10-XII, 3 ს. ლენინის ქ. № 64.

შვილები ტასო, ოლია, შალვა, ტერენტი, სევერიანე, რძლები ქეთო, ეთერ, სონია, ქეთო, სიძეები ს. ნუცუბიძე, გ. შავლიაშვილი იუწყებიან **პელაგია სიმონის ასულ ჯავახაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XII, სოფ. მუხიანში (წყალტუბოს რაიონი).

შვილები ოლია, ნადია, შალვა, ვახტანგ, თამარ, ნინო, მერი, რძლები თინა, ციალა, სიძეები მ. ღვალაძე, შ. ბურჯანაძე, ბ. ჩხაიძე, მ. აბაშიძე და შვილიშვილები იუწყებიან **ასლან ბიჭიას-ძე ერისთავის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XII, სოფ. I ობჩაში (მაიაკოვსკის რაიონი).

ლიდა, რევაზ ფირცხალავები, ქსენია, ვასო ჩხენკელები, ოლია, ია, თინა ხობუები, ნელი, ვახტანგ ჭირაქაძეები იუწყებიან რძლისა და ბიცოლას **პოლიტანი ივანეს ასულ ფირცხალავას** გარდაცვალებას.

მეუღლე სონია, შვილები გოგი, მზია, ძმები ზოსიმე, ვანო ოჯახებით იუწყებიან **სპირიდონ ზაქარიას-ძე ხხიერელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-XII, 7 ს. გამოსვენება 13-XII, 4 ს. ზემოვეძისის ქ. № 2.

მშობლები მარო, დავით, ძმა ბადრი, დები რუსუდან, დავარ ჯალაღანიები, ბებიები ვარდო, ნინო რუხაძეები, დეიდები იულია, ციალა ოჯახებით იუწყებიან **თამაზ ნებიერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-XII, 7 ს. 30 წ. გამოსვენება 13-XII, 2 ს. ქლუხორის ქ. № 5

ძმები სვიმონ, ალექსი, დები მარიამ, ლიზა, რძლები მარიამ, ანეტა, ელენე, ლეილა, ძმისწულები თამარ, ნინო, გულნარა, ვახტანგ, ავთანდილ, ნოშრევან, სიძეები შ. რაქვიაშვილი, გ. კავთიაშვილი იუწყებიან **ლევან ზურაბის-ძე ნამორაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII თიანეთში.

საქართველოს შამპანურის კომბინატის თბილისის სამარკო ღვინოების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება რესპუბლიკის სახალხო არტისტის **უშანგი ჩხეიძის** გარდაცვალებას.

ძმა მიხეილ, რძალი პელაგია, ძმისწულები ელენე, მარგო, დიმიტრი ნანობაშვილები, სიძე ვ. ჯანდიერი, რძალი ფაცია შეროზია ოჯახებით იუწყებიან **დავით დიმიტრის-ძე ნანობაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე პელო, შვილები სანდრო, ნინო, თამარ, რძალი ოლია, შვილიშვილები ნადია, კოტე, გინა, ნინო, ლამარა, ანდრო, სიძე ალ. ბეგალიშვილი იუწყებიან **მიხეილ ალექსის-ძე ჭეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-XII, 7 ს. 30 წ. გამოსვენება 13-XII, 2 ს. სანაპიროს ქ. № 1.

შვილი ლიდა, რძალი პისტი, მაზლისწულები გიორგი, ელენე, ქეთა, ალიოშა შვილებით იუწყებიან **პოლიტანე ივანეს ასულ ფირცხალავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII, სოფ. კონტუათში (წულუკიძის რაიონი).

მეუღლე მინადორა, შვილები ნინო, გიორგი, იულია, რძლები ქ. ფარცხალაძე, კ. ძიძიგური, სიძე ვ. ტალაბაძე, შვილიშვილები დემეტრ, დალი, ლიანა, მერი, ეუჟენა, გოდერძი იუწყებიან **ზოსიმე თედორეს-ძე დანელიას** გარდაცვალებას. დაკრძ